წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 23 აგვისტო 1915 წ. № 76

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის ... 8-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლისაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

## „ახალი კლუბი"

სამშაბათს, 25 აგვისტოს გაიმართება გამოსათხოვარი

**კონცერტი და ბენეფისი**

### არტისტისა ივანე პეტრეს-ძე სარაჯიშვილისა

დაწვრილებით პროგრამებში

კონცერტებში მიიღებენ მონაწილეობას საიმპერატორო თეატრების არტისტი **ი. ტომაშევიჩი** და ვიოლონჩელზე დამკვრელი **ე. ნ. კაპელნიცკი**

სიმფონიური ორკესტრი ახალი კლუბისა **ი. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება კლუბის კონტორაში.

---

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 24—30 აგვისტომდე.**

**ორშაბათი**—ოპერეტა. ბაღში დაუკრავს პატარა ორკესტრი.

**სამშაბათი**—**უკანასკნელი კონცერტი-ბენეფისი არტისტი ი. პ. სარაჯევისა,** მონაწილეობით: 1) **სიმფონიური ორკესტრისა ი. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით, 2) **საიმპერატორო თეატრების არტისტი-მომღერალი ი. თამამშევიჩი და სოლისტი-ვიოლნჩელისტი ე. ნ. კაპელნიცკი.**

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი ბაღში დაუკრავს დიდი ორკესტრი.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა, პიესა „არივ-დარია".

**პარასკევი**—როგორც დიდი დღესასწაულის წინა დღე არავითარი გასართობები არ იქნება.

**შაბათი**—დღესასწაულის გამო გასართობები არ იქნება.

**კვირას**—საბავშვო საღამო-სეირნობა სინემატოგრაფით, ცეკვით და სამხედრო ორკესტრით. დიდებისათვის გაიმართება მოლოროსიული წარმოდგენა.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე, წარმოდგენა და სიმფ. კონცერტებისა საღ. 9 საათზე, საბავშვო საღამოსი 5-დან 9 საათამდე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

---

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

---

პირველხარისხოვანი

## სასადილო „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

---

## გადაწერას საწერ მანქანის

**საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

---

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

**ქ. ბორჯში**

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

**ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის**

ქარხნები

## მ. ე. ლაღიძე და ამხ.

**თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.**

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის** წყალი მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

---

## ტფ. ქართულ ფილარმონიული საზოგადოების

**სამუსიკო სკოლა**

**გადავიდა ახალ ბინაზე: სლეპცოვის ქ., ზელნიცკის სახლი. № 4**

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან,**

10—2 ს.-მდე დილით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში

**მასწავლებელთა სია:** ფორტეპიანოს კლასი: **მ. გ. ანდრონიკოვა-ციციანოვა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა, თ. ს. შაბუროვა;** სკრიპკა: **მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი;** ვიოლენჩელი: **გ. დ. დილმელოვი;** კონტრაბასი: **მ. ი. ზურშოგი;** სიმღერა (სოლო): **მ. ა. კოლოტოვისა;** ათეორიის კლასები: **ზ. პ. ფალიაშვილი;** ხორო: **ზ. ი. ჩხიკვაძე;** ახლად მოწვეულია ფორტეპიანოზე მასწავლებლად მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენვეიზერის კლასის თავისუფალი ხელოვანი **ქ. დ. ახვლედიანი.** მიმავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალი კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა.

სწავლის ფასი: ფორტეპ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ. ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარი წლობით წინდაწინ.

**პარაკლისი** გადახდილ იქნება 6 სექტემბერს შუადღის 1 საათზე

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.**

---

## ახალი სკოლა პანსიონით

**გიმნაზიის პროგრამით**

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება საღამოს 4-დან 7 საათამდე, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, მისამართი: მადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—2

# ომის დღიური

## დეპეშები

**თბილისი, 21 აგვ.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 19 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში ოსმალებმა სცადეს ჩვენი მოდარაჯე რაზმელების განდევნა, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ; ხელით სასროლ ყუმბარებით და სროლით ისინი უკუქცეულ იქმნენ. ოლთისის მიმართულებით რუსების მზვერავებმა გაარღვიეს ოსმალ მოდარაჯე რაზმის რკალი და ხიშტებით დაიჭირეს მათი თხრილები, აკუწეს 200 ასკერი და ხელთ იგდეს აუარებელი დავლა. მელიაზგერთის და ვანის რაიონებში მზვერავთა შეტაკება ხდებოდა.

**პეტროგრადი, 21 აგვ.** ოფიციალი. რიგა დვინის ფრონტზე სოფ. ლინდენის რაიონში, მკაცრი ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარები დვინას მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ. ეს მოხდა 20 აგვისტოს. ხიდი რუსებმავე დასწვეს. ბრძოლა გრძელდება. 19—20 აგვის. ფრიდრიხ შტადტის პოზიციებს გერმანელები მძიმე არტილერიას უშენდნენ. სვენტისა და ვილიის შუა რუსის ჯართა იერიშებს გერმანელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად ამისა რუსები მაინც წინ მიდიან. 2 დღის განმავლობაში რუსებს ხელთ ჩაუვარდათ 13 ტყვიისმფრქვეველი და სამასამდე ჯარისკაცი ოფიცრებითურთ. ვილიისა და ნემნის შუა, შემდეგ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე გროდნომდე მდგომარეობა უცვლელია. გროდნოსთან 20 აგვ. გერმანელებმა მოახერხეს ჯარის ერთი ნაწილი ნემანის მარჯვენა ნაპირზე გადაეყვანათ. ქალაქის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლაა. გროდნოს რაიონიდან სამხრეთით პრიპიატიმდე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ ინდურის სამხრეთ რაიონში საარიერგარდო ბრძოლა მოხდა ბერსტოვიცთან და გროდკოს სამხრეთით. ლუცკის რაიონში კლევანისა და ტორგოვიცისკენ 19 აგვ. მხოლოდ უმნიშვნელო ბრძოლა ჰხდებოდა. არც ერთს მხარეს არსებითი შედეგისთვის არ მიუღწევია. გალიციაში დნესტრამდე რუსთა მიერ ახალ პოზიციების დაჭერა მდ. სერეტამდე უმნიშვნელო ბრძოლების მეტი არა მომხდარა რა. დნესტრზე ავსტრიელნი შეეცადნენ იერიშით შეეტიათ რუსებისათვის, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ სტრიპის ტოტთან და ზალეშჩიკთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ფრიდრიხშტადტის რაიონში.**

უკანასკნელ ხანებში კრეიცბურგის გზით ფრიდრიხშტადტიდან გამორბიან დამფრთხალი მცხოვრებნი. მათი რიცხვი 6—8 აოასამდე ადის. (ბ. ვ.).

**ხურდა ფულის გარშემო.**

პეტროგრადი აღელვებულია არა-ჩვეულებრივ სისაძაგლით. სატახტო ქალაქში, ამ ფულის ცენტრში, ყველასათვის მოულოდნელად, უცბად სადღაც გაჰქრა ხურდა ფული. ვილაცის ნიშნით არ აღმოჩნდა წვრილიფული ჯერ ვასილევის კუნძულზე და შემდეგ მთელს ქალაქში. ამას თავისით მოჰყვა ჩხუბი და დავიდარაბა ყველგან.

ხურდა ფულის დამალვა განმეორდა ყველგან, სადაც კი სამხედრო მოქმედება ახლო მოახლოვდა. ასე იყო ვარშავაში, კიევში. ცხადია არეულობა ამ ნიადაგზე სხვა ქალაქებსაც უნდა ხვდეს წილად. მერე რასა ფიქრობს მთავრობა? მიაქცია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება? სჩანს არა.

ეს კი, ვინ არ იცის, სასარგებლოა მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის და დარწმუნებულიცა ვართ, რომ მათ ამ ქარბუქში საკმაო ღვაძლიც მიუძღვით. (ნ.ვ.).

—

ესპანიაში მყოფი „ტაიმსის" კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელი აგიტატორები ამ ბოლო დროს გაზვიადებულ ცნობებს ავრცელებენ გერმანელების გამარჯვებაზეო.

—

„შვენ. ტაგ" მალმედან დეპეშით ატყობინებენ, რომ ჩრდილოეთ ზღვაში შეუმჩნევიათ ექვსი დიდი გემი, რომელიც ცეცხლის ალით იყო მოცული. ფიქრობენ ყველა ამ გემებს გერმანიის წყალქვეშა ნავმა წაუკიდა ცეცხლი. ალბად გემებზე მეზღვაურები არ იმყოფებოდნენ.

—

„რუსკ. სლოვოს" დეპეშით ატყობინებენ: ვაშინგტონში იმ აზრისა არიან, რომ რადგანაც გერმანეთმა წყალქვეშა ომის საკითხში დათმობითი პოზიცია დაიჭირა, ალბად ის ამზადებს ზავის შესახებ მოლაპარაკებას ვილსონის დახმარებით. ბერნსტორფმა ვილსონს აცნობა, გერმანეთი მშვიდობიანობის დასაცავად მზად არის ხელი აიღოს ბელგიაზე. მეომარ სახელმწიფოთა შორის შუამავლობის გასაწევად ბრაიანი ევროპაში მიემგზავრება.

—

„რუსკ. სლოვოს" ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: ბულგარეთმა ხელი მოაწერა ბულგარეთ-ოსმალეთის ხელშეკრულობას, რომლის მიხედვით ბულგარეთი ვალდებულია ხელი შეუწყოს ორშოვოდან ოსმალეთში მიმავალ ჯარს და თუ საჭიროებამ მოითხოვა წინააღმდეგობა გაუწიოს ამ გეგმის ჩასაშლელ საბერძნეთის და რუმინიის ცდას.

---

## ღია წერილი ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს

მოწყალეო ხელმწიფევ!

„სახალხო ფურცლის" გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია თქვენი წერილი „მცირე განმარტება". ამ წერილში სწორედ არის აწერილი ისტორია თქვენი კანდიდატურის წამოყენებისა, ამბავი ჩემის შუამავლობით „საქართველოს" სარედაქციო კოლეგიასთან ამის შესახებ მოლაპარაკებისა და საარჩევნო ბიუროს გადაწყვეტილებისა. მაგრამ ამავე წერილშიდ თქვენ მიერ მოთხრობილია ჩემსა და „სახალხო ფურცლის" ერთ თანამშრომლის შორის მომხდარი დიალოგი. უნდა გამოვტყდე, რომ ამ დიალოგის წაკითხვამ იმდენად ამაღელვა და აღმაშფოთა, რომ ჯერ მაინც ვერ მომისაზრებია, რამ გაიძულათ ჩემი ნათქვამის დედა-აზრის ასე დამახინჯება და გადატრიალება. გაზეთის ფურცლებზე ყველაფრის თქმა და ორი საათის ნალაპარაკევის აღდგენა

შეუძლებელია. ამიტომ მეტად რთული და გრძელი საკითხი, თქვენ მიერ გამოტანილი საქვეყნოდ, უნდა შევამოკლო და მოკლედ მოვჭრა. დედა ბოძი თქვენ მიერ აღწერილ დიალოგისა, ჩემი და სხვების უკიდურეს შეურაცხყოფისა, დიალოგისა გახლავთ ვითომ ჩემ მიერ საქვეყნოდ ნათქვამი: „პ. გოთუამ ამას წინად ხუთასი თუმანი გვიშოვნა და ახლაც დაპირებულია ბლომად ფულის შოვნას".

ეხლა მე აღვადგენ ჩემს ნათქვამს:

ლაპარაკი იყო „სახალხოს" რედაქციაში ჩემსა და არ. ჯაჯანაშვილის შორის სარედაქციო კოლეგიისა და თქვენი თანდასწრებით. კილო ამ ლაპარაკისა თანდათან მწვავდებოდა, რადგან რამდენიმე კითხვამ ბ. ჯაჯანაშვილის მხრით დაკითხვის ხასიათი მიიღო, ისეთი ხასიათი, რომელზედაც რუსები იტყვიან ხოლმე: вопросъ превратился въ допросъ-ო. აი სწორედ ამ დროს ბ. ჯაჯანაშვილი მეკითხება:

— ეგ როგორ მოხდა, რომ თქვენი გაზეთის დაარსების დროს გოთუამ ფული გიშოვათ და ეხლა მის საწინააღმდეგოდ გამოდიხართ?

ისედაც აღელვებულმა „დოპროსით" (თქვენ მიერ აწერილი დიალოგიც ადასტურებს ამას) გაბრაზებით და ნიშნის მოგებით ვუპასუხე:

— დიახ, გვიშოვნა; ამას წინად კიდევ ხუთასი თუმანი გვიშოვნა და ახლაც დაპირებულია ასი ათასის შოვნას.

ზემოაღნიშნული სიტყვები, ჩემ მიერ ნახმარი სიტყვისა და „დოპროს"-ის მოსაჭრელად, თქვენს წერილში გარდაიქცა სერიოზულ ფაქტად და საბუთად იმ მძიმე ბრალდებისა, რომელიც თავს მომახვიეთ ორნაირად: როგორც კერძო პიროვნებას და როგორც „საქართველოს" რედაქციის წევრს.

დამეთანხმებით, რომ გაზეთის საშუალებით ამ ინციდენტის გამორკვევა ყოვლად შეუძლებელია. გარდა ამისა, მე საჭიროდ მიმაჩნია ჩემ თანამოაზრეთა და მეგობართა გულიდან ამოფხვრა ყოველნაირ ეჭვისა, რომელიც თქვენმა წერილმა უხვად გაჰფანტა მთელ საქართველოში. ზემოაღნიშნულ მიზეზებისა გამო გაძლევთ წინადადებას—გადავცეთ ამ საქმის გამორკვევა და დაფასება სამედიატორო სამართალს.

სამი დღის განმავლობაში ველი პასუხს.

საჭიროდ მიმაჩნია შემდეგიც განვაცხადო: ვინაიდგან **შეხაძლებელია** ამ ამბავის გარეშემო საგაზეთო პოლემიკა გაგრძელდეს, უხერხულად მიმაჩნია ეროსა და იმავე დროს საქმის გადაცემა სამართალში და რაიმე მონაწილეობის მიღება საგაზეთო პოლემიკაში, ამიტომ საჭიროდ ვსცანი „საქართველოს" სარედაქციო კოლეგიიდან გასვლა იმ დრომდე, სანამ ეს სამწუხარო ამბავი ასე თუ ისე არ გათავდება. *)

**მ. ადამაშვილი.**

*) „საქართველოს" რედაქცია ადასტურებს, რომ ბ-ნი მ. ადამაშვილი ჯერჯერობით სარედაქციო კოლეგიის წევრად აღარ ითვლება.

## „მეცადინეობით თავის გათეთრება"

**(ფილიპე გოგიჩაიშვილის ლექსიკონიდან).**

ეტყობა ქართველი საზოგადოება იმდენად ამაღლდა, რომ „მეცადინეობით **თავის** გათეთრება" ისე ადვილი აღარა ყოფილა, როგორც ეს წინად იყო. ამას ამტკიცებს არა მარტო ის რომ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს ტყუილად ჩაუარა „მხურვალე მეცადინეობამ" და დირექტორობის თბილ ადგილზედ ხელი აიღებინა, არამედ ისიც, რომ „მეცადინეობით თავის გათეთრება" გაზეთის საშუალებითაც ვერ მოახერხა და **სიცრუითა და ცილისწამებით ლა** სცდილობს თავის მართლებას. მაგრამ მოგეხსენებათ—ტყუილს მოკლე ფეხები აბია, და მკითხველი აქვე დაინახავს ამ „ფეხების" სიმოკლეს და მკვახედ რომ არა ვსთქვათ ჭკუისას. ჩვენ გვერდს უხვევთ ა. შანშიაშვილის და მ. ადამაშვილის „პოეზიას და ხოტბას", რომელის გამომჟღავნებისა ეშინიან ბ-ნს გოგიჩაიშვილს „მორცხვობისა" გამო და მივმართავთ ფაქტებს.

გოგიჩაიშვილი სწერს, ვითომ ჩვენ **გამოგვეცხადებინოს** პირდაპირ ან „თითქმის" მისი მომხრეობა და მოჰყავს ამონაწერი (?!) (?) ჩვენი გაზეთიდან: 6 მარიამობისთვის კრებაზედ „დასახელებულ კანდიდატებში ერთმა მიიღო 20, მეორემ 3 და მესამემ (პ. გოთუამ) 1 ბარათი". ცხადია მაშინ ოთხ „საქართველოელს" ბ-ნი პ. გოთუა არ დაუსახელებიათ, თორემ მისი ბარათის რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო. ეს ციტატა მთლად **მოგონილია** გოგიჩაიშვილისაგან, და ეს სიცრუე ალბად „თავის გათეთრების მეცადინეობით" ამოუწერია თავისი საკუთარი უბის წიგნიდან.

ტყუილია მაშასადამე გოგიჩაიშვილის **ამონაწერი**, მაგრამ ფაქტის დამალვაც არ გვინდა, და მოკლედ ვიტყვით, რომ იმ კრებაზედ, რომელიც **მოიწვიეს ფ. გოგიჩაიშვილის მსურველთ და თავი მოუყარეს მაშასადამე ისეთებს, ვისიც იმედი ჰქონდათ**, გამოირკვა ჯერ ერთი, რომ (გოგიჩაიშვილის მოწმობით) მოვიდა 27 ოთხმოცდა-ათ მოწვეულიდან—ესეც გათეთრებაა? შემდეგ, „საქართველოს" წარმომადგენლები ასე გაიყვნენ: რ. გაბაშვილმა ბარათი მისცა პ. გოთუას, რადგან კრებაზედვე გამოირკვა, რომ შეკრებილთა უმრავლესობას ბანკის საქმეკი არ აინტერესებთ, არამედ მხოლოდ **კიდევ ერთი თბილი ადგილის ხელში ჩაგდება**. (ამის საბუთები მერე იყოს). ერთმა წამოაყენა **იასონ ლორთქიფანიძეს** კანდიდატურა და თითქმის ყველამ დაუჭირა მხარი, მხოლოდ გამოირკვა მისი გადმოყვანის სიძნელე, დანარჩენები დაპარაკობდნენ თუ **როგორი** უნდა იყოს ჩვენი კანდიდატი და არა იმაზედ თუ **ვინ** იყოს.

ეს პირველი სიცრუე. ახლა მეორე: გოგიჩაიშვილი სწერს: შესდგა ბიურო, რომელშიაც შედიოდა „საქართველო"-ს წარმომადგენელი და ამ ბიურომ „შეიმუშავა წევრებისადმი მიმართვის ტექსტი **ბიუროს სახელით** და პასუხებისათვის **მისამართად** დანიშნა „სახალხო ფურცლისა" და „საქართველოს" ბინები (**პირველში ბ-ნი ი. გოგოლაშვილისა და მეორეში ბ-ნი მ. ადამაშვილის ხელში**). ეს ამბავი მაცნობა ბ-ნმა მ. ადამაშვილმა და გადავწყვიტეთ: „**ბიუროსაგან**" გაგზავნილ ბარათებზე პასუხების გამოგზავნას ვინც მოისურვებს, რედაქციების ბინებში გამოიგზავნოსო. **ბიურომაც ეს გადაწყვეტილება შეასრულა სისწორით** (მიაქციეთ ყურადღება ჩვენს ხაზებს).

როგორც მკითხველი ხედავს, ფ. გოგიჩაიშვილს ისევე გაუგია ბიუროს დადგენილება, როგორც მ. ადამაშვილს, რომ გოგოლაშვილის და ადამაშვილის **მისამართი** იქნება რედაქცია.

ახლა რა უქნიათ თვით ბიუროს ხელმძღვანელებს, რომელთაგან პირველი (წარმოიდგინეთ სადამდის აღწევს „მეცადინეობა თავის გათეთრებისა" და დირექტორად არჩევისა)... თვით ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილია: არც უციებიათ, არც უცხელებიათ და ბიუროს სახელით კი არა, **თვით რედაქციების სახელით**, სარედაქციო ბეჭდების დასმით დაუგზავნიათ არჩევნების მოწოდება და გოგოლაშვილ-ადამაშვილის **მისამართად** კი არ დაუსახელებიათ რედაქციები, არამედ დასაბრუნებელი კონვერტებიც **თვით რედაქციის** სახელზედ დაუბეჭდინებიათ. გამოდის, რომ რედაქციები თვითონ მიმართავენ ბანკის წევრებს მოწოდებით და პასუხსაცა სთხოვენ რედაქციის სახელზედ გამოსაგზავნად. ეს არის თურმე, გოგიჩაიშვილის ტერმინოლოგიით, ბიუროსაგან გადაწყვეტილების **სწორი შესრულება**, ჩვენის ტერმინოლოგიით კი ნამდვილი **შანტაჟი**.*) აი სწორედ ეს აღვნიშნეთ ჩვენს განცხადებაში და სიცრუით რად აპირობს ბ-ნი გოგიჩაიშვილი თავის თავის საარჩევნო ოინების გამართლებას. ჩვენ აქ აღარ ვიტყვით თუ რამდენად საკადრისია თვით ამოსარჩევ პირისაგან ასეთ ბიუროს სათავეში დგომა და მოწოდების დაგზავნა: მე [illegible] კარგი მე ვარო.

გოგიჩაიშვილი არ ერიდება მესამე სიცრუესაც, ვითომ 19 ამ თვეს ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა „ორი ახალი ამბავი", „საიდანაც თვით რედაქციის სიმპატია გამოსჭვივის გასაგებად და თითქმის ნათლად". შიშს დიდი თვალები აქვსო, ამბობენ რუსები, თორემ ჩვენ ახალ ამბებში, არა დაინტერესებული პირი ვერავითარ სიმპატია-ანტიპატიას ვერ დაინახავს. ერთშიაც და მეორეშიაც გადმოცემულია მხოლოდ ფაქტი, როგორც შეეფერება ახალ ამბავს.

აი თუნდა ასეთი რამ: „წევრთა მიერ დასახელებულნი ერთი მეორის მოცილე კანდიდატები, პ. გოთუა და ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილიც, თავის მხრივ სთხოვენ ვ. რ. ყიფიანს, რომ მან იკისროს ბანკის თავმჯდომარეობა, ხოლო ისინი დირექტორის თანამდებობაზე იყრიან კენჭს".

ყველა მოყვანილ სიცრუის შემდეგ, ფ. გოგიჩაიშვილი თამამად იძახის ჩვენი განცხადების თაობაზედ: „ერთი სიტყვის დახარჯვაც კი მეტია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს „საქართველოს" განცხადებაო. დიდი ჭკუა არა სჭირია იმას რომ მკითხველმა დაინახოს სად არის სიმართლე, იმ საარჩევნო შანტაჟში, რომელიც მოახდინა ფ. გოგიჩაიშვილმა, თუ ჩვენ განცხადებაში. მაგრამ მთავარი სიცრუე ის მეოთხე სიცრუეა, რომლისთვისაც ჩვენი თანამშრომელი დღევანდელ ნომერში სასამართლოში იწვევს ბ-ნ გოგიჩაიშვილს უსინდისო ცილისწამებისათვის.

გოგიჩაიშვილს მოჰყავს თავის წერილში ფრიად ულოღიკო, უპატრონო და ყალბი დიალოგი, ვითომ მომხდარი ჩვენს წარმომადგენელსა და „სახალხო ფურცლის" თანამშრომლის შორის. ამ დიალოგის სისწორეზედ იმოწმებს სხვათა შორის ბ-ნ ივანე ჯავახიშვილსაც (და ჩვენ გვჯერა, რომ იგი მართლაც ობიექტიურად დაამოწმებს ყველაფერს). ჩვენ ასეთი დიალოგი შეუძლებლად მიგვაჩნია ყოფილიყოს, რადგან ...

*) რამდენადაც ვიცით, „სახალხოც" უკმაყოფილოა ასეთი უტიფრობით და არავისათვის ნება არ დაურთავს მისი სახელით არჩევნების მოწყობა—ეს მთლად ჯერ „უცნობ" და ახლა „ცნობილ" გოგიჩაიშვილის საქმეა, როგორც ეტყობა.

## მეფე თეიმურაზ I-ის დამოკიდებულება რუსეთთან

ფრიად შესანიშნავია და დიდმნიშვნელოვანი საქართველოს ისტორიაში მეფე თეიმურაზის ხანგრძლივი მეფობის ხანა. საქართველოს ამ საბედისწერო ხანაში ორი გარემოება იქცევს ყურადღებას. ერთია საქართველოს გაერთიანების იდეა, რომლის მოთავე დ წარმომადგენელი იყო შესანიშნავი სარდალი იმ დროისა გიორგი სააკაძე, დიდ მოურავად წოდებული საქართველოს ეს უძლეველი ალკივიადი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ამ აზრს ფარვანასავით დასტრიალებდა და ისე ჩავიდა საფლავში, რომ მისი იდეა და ლტოლვილება ვერ შესრულდა. ამის მიზეზად ქართველ საზოგადოების მოუმწიფებლობა იყო და უფრო კი თვით თეიმურაზის უხასიათობა.

მეორეს მხრივ აღსანიშნავია მეფის თეიმურაზისაგან ხელის პოტინება რუსეთისაკენ დახმარების მისაღებად. როცა სააკაძის გენიით შექმნის საქართველოს გაერთიანების იდეას ვერ შეიგუებს თეიმურაზი, იგი ზედმეტი მეცადინეობით ეპოტინება მის წინაპართაგან არჩეულს გზას რუსეთთან ერთობის და მისგან არსებითი დახმარების მიღებას. თეიმურაზი აქ პირველ აქტიურს ნაბიჯსაც გადასდგავს: თუ დღემდის რუსეთთან საქართველოს მფლობელებს მარტოოდენ მიწერ-მოწერა ჰქონდათ და კაცების გზავნა, ეხლა თეიმურაზი თვით იყრება საქართველოდგან, რუსეთის გზას გაუდგება და თვით ეხლა რუსეთის მეფეს. ამ გვარად თეიმურაზი წინაპართა გზას დაადგა, რომელსაც ჯერ-ჯერობით არაფერი არსებითი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო; უარჰყოფა სახელოვანი მამულიშვილის გულგამეხებითი ბრძოლა საქართველოს გასაერთიანებლად და ასაღორძინებლად, რათა შესძლებოდა მას სხვათა დაუხმარებლივ ჯეროვანი პასუხი გაეცა მოსეულის მტრისათვის და განახლების გზას დასდგომოდა. თეიმურაზი პირიქით ორთავე ხელით ებღაუჭება წინაპართა გზას. ვერც ძლევა მოსილმა ირანის ბრძანებელმა, რომელმაც მის მისწრაფებათა და ლტოლვილებათა შესაკვეცად და აღმოსაფხვრელად ნახევარი აღმოსავლეთი საქართველო გაანადგურა და სპარსეთის გზას გაუყენა და ვერც სააკაძის დიდებულმა იდეამ დაანებებინა თავი ერთხელვე არჩეულს სახიფათო გზას. ის მთელის სულით და გულით ჩრდილოეთისაკენ მიილტვის და იქიდგან გამოელის ხსნასა და შველას. აი ამ ჩრდილოეთის გზას შეალია დღენი თავისი ხარგრძლივი მეფობისა. ბევრი რამ საინტერესოა ამ ჩრდილოეთიდგან იმედის ცდაში და ჩვენც გვინდა სწორედ ეს მეორე მხარე თეიმურაზის მეფობისა აღვნუსხოთ იმ წყაროებისა და მასალების მიხედვით, რაც დღემდე ცოტად თუ ბევრად გამოქვეყნებულია.

### I

**საქართველოს აოხრება და პირველი ელჩები თეიმურაზის რუსეთში.**

1616 წელს საქართველოს დიდის ლაშქრით შემოესია ირანის ბრძანებელი შაჰ-აბაზი. ეს პირველი და შემდეგნი შემოსევნი უმაგალითონი იყვნენ თავისის შედეგებით, მრისხანებით, აწიოკება-აოხრებით, რომლის მზგავსიც იშვიათია არამც თუ საქართველოს ისტორიაში, არამედ მსოფლიოსაც. აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაცხარებული, პირქუშ შაჰაბაზს აზრად ჰქონდა საქართველოს სრულიად აღგვა დედამიწის ზურგიდგან. ეს ბრძოლა იყო საქართველოს მოსასპობლად, როგორც სამართლიანად უწოდა გიორგი სააკაძის მეისტორიემ ან. ფურცელაძემ. მთელი საქართველო კვნესდა და გმინავდა ამ თავზარდამცემ, დაუნდობელ აწიოკებით, შორს კიდით-კიდემდე გაისმა საქართველოს გლოვა-ტირილი, მაგრამ მშველელი არავინ იყო.

რა იყო მიზეზი შაჰაბაზის მრისხანებისა საქართველოზედ და კერძოთ თეიმურაზზედ ამ თავისთან შეზრდილ საქართველოს მეფეზედ? ნუ თუ მარტოოდა უბრალო დაპყრობა და დამორჩილება საქართველოსი, რომელიც ისედაც მორჩილი იყო ირანის მბრძანებლისა? რამ აღაშფოთა და განარისხა ასე ძალუმად შაჰაბაზი და საქართველოს სრულიად მოსასპობლად, გამოალაშქრა?

მთავარი მიზეზი ამისი საქართველოს რუსეთთან დაახლოვება იყო. შაჰაბაზი შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსი იყო, იგი აშკარად ჰხედავდა რა შედეგიცა შეიძლება მოჰყოლოდა საქართველოს რუსეთთან დაახლოვებას. რუსეთის ორთავიანი არწივი თანდათან იზრდებოდა, აფართოვებდა თავისს საზღვრებს კავკასიისკენ მედგრად მიიწევდა და ამით აღმოსავლეთის მაჰმადიანობის მუსულმანობას—და განსაკუთრებით კი სპარსეთს ძილს უფრთხობდა და სიგონებელში აგდებდა. რუსეთმა უკვე წინარე თერგის შესართავთან ციხე-სიმაგრე ააშენა და ამ რიგად სალაშავით შუაში შეიჩხირა ოსმალეთისა და სპარსეთის მიწაწყალს. თუმცა რუსეთს ამ პირველმა ცდამ არაფერი არსებითი სარგებლობა არ მოუტანა, მაგრამ სამაგიეროდ კავკასიაში მეგობრები და მომხრეები გაიჩინა. ესენი იყვნენ კახეთის მფლობელნი მეფენი, რომელთაც მხარს უჭერდა ქართლიც. უკვე მეფე თეიმურაზის წინაპარნი აღტაცებით ეგებებოდნენ და ცას ეწეოდნენ რუსეთის ამგვარს ცდას და თვითვე ელჩებს-ელჩებზედ უგზავნიდნენ და გახურებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ გამართული. საქართველოს მეფეებში ამა მხრივ პირველი ნაბიჯი კახეთმა გადადგა. მან პირველმა დაიწყო ჯერ კიდევ არ დავაჟკაცებულ რუსეთთან დამოკიდებულება, მან პირველმა გაუღო კავკასიის კარები რუსეთსა და ფიანდაზად გადაუშალა თავისი სამფლობელო და ავლა-დიდება. რაც დრო გადიოდა ეს დამოკიდებულობა და მისვლა-მოსვლა თანდათან ცხოველდებოდა, კახეთის მაგალითით წაქეზებული ქართლიც ფეხის ხმას ჰყვებოდა და ჩქარა მთელს საქართველოსაც ჰლამობდა ჩათრევას.

საქართველოს ამ გვარი მოქმედებით, რასაკვირველია, ისინიც გულხედაკრეფილი არ ჯდებოდა. ყველაზედ უფრო ძლიერად იგრძნო და ალღო აუღო ამ გარემოებას ირანის ძლიერმა პოლიტიკოსმა შაჰაბზმა. შაჰაბაზი ნათლადა ჰხედავდა თუ რა სასტიკი შედეგი შესაძლებელია მოჰყოლოდა რუსეთი თუ საქართველოში მოიკიდებდა ფეხს. მაშინ ადვილად შესაძლებელი იყო საქართველოს ცდე თვით ირანსაც დასდგომოდა. შორს გამჭვრეტმა პოლიტიკოსმა გაითვალისწინა რა ყოველივე ეს. მთელის თავისის ძალღონით წინაალუდგა.

ჯერ კიდევ როცა კახეთის მეფე ალექსანდრემ 1605 წელს რუსეთს ერთგულობა შეჰფიცა და ხელშეკრულობას ხელი მოაწერა, განრისხებულმა შაჰაბაზმა თითზე იკბინა და ერთის ხელის მოქნევით მოინდომა ალექსანდრეს დაღუპვა და ამით ხელშეკრულობის გაქარწყლება ერთხელ და სამუდამოდ. ამის შესასრულებლად შაჰაბაზმა გამოგზავნა კახეთში გამაჰმადიანებული ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელსაც დაავალა მამის ალექსანდრესი და ძმის გიორგის მოკვლა, რომლის შემდეგაც თვით უნდა გამეფებულიყო, რადგანაც სწამდა, რომ გამუსულმანებული კონსტანტინე ყურმოჭრილი მონა იქნებოდა შაჰაბაზისა და რუსეთის პოლიტიკაც დამარცხდებოდა საქართველოში. მაგრამ ამ ხერხმა სავსებით ვერ მიაღწია მიზანს. თუმცა კონსტანტინემ მამა და ძმა, მოჰკლა მაგრამ არც იმას დაეყარა ხეირი, კახეთმა ასეთი დამცირება და ავაზაკობა ვერ მოითმინა, აჯანყდა და ამ აჯანყებამ თვით კონსტანტინე იმსხვერპლა.

რომ ამ საშინელი მამის მკვლელობის მიზეზი საქართველოს რუსეთთან დაახლოვება იყო, ამას არა ჰმალავდენ თვით რუსეთის ელჩები, რომელნიც ამ ბარბაროსობის დროს კახეთში იყვნენ. „შაჰი დიდი ხანია განრისხებულია საქართველოზე, ამ თავისს ხელქვეით ქვეყანაზედ რომელიც ამ ბოლო დროს გადაუდგა და რუსეთს მიეცაო" [1]) ეუბნებიან რუსეთის ელჩებს სპარსეთის ჯარის უმფროსნი.

ამ პირველის დამარცხებით შაჰაბაზმა ფარხმალი არ დაჰყარა და საქმის გარემოებას არ შეუშინდა, იმან მხოლოდ დროებით მიატოვა საქართველო რადგანაც სამეფოს შიგნით სხვა რთული საქმეები ჰქონდა და საქართველოსთვის არ ეცალა ჯერ-ჯერობით. გულში კი დაბუდებული ბოღმა რაც დრო და ჟამი მიდიოდა უფრო მეტი შხამით ივსებოდა და გადმოხეთქვას ლამობდა. შაჰაბაზს ეხლა სხვითა ხელით კი არ უნდოდა ნარის გლეჯა, არამედ საკუთარის ხელით სურდა ამოეგლიჯა საქართველოს გულღვიძლი და მით ჩრდილოეთის საფრთხესათვის ერთხელ და სამუდამოდ ნიადაგი მოესპო და ამოეფხვრა საქართველოში.

დადგა დროც, შემზარავი 1616 წელი, შაჰაბაზი დიდძალის ჯარით მიადგა საქართველოს. ყარაიაზში დაბანაკებულს მას უნდა თავდაპირველად სამეფო სახლობა ტკბილის ენით და მლიქვნელობით იგდოს ხელში, რომ მერე უფრო ადვილად გაატიალოს და ააოხროს საქართველო. შაჰაბაზს პირველად თეიმურაზმა მცირეწლოვანი ვაჟი გაუგზავნა. შემდეგ უმფროსი და როცა ამითი არ დაკმაყოფილდა შაჰაბაზი და თვით თეიმურაზის ხლება მოითხოვა, მაშინ თეიმურაზი მიხვდა შაჰის ბოროტ განზრახვას და არ იახლა. შაჰაბაზიც აიყარა და კახეთის გასაოხრებლად გამოემართა. ბედკრული მეფე იმის მაგივრად, რომ სამეფო კერას არ მოშორებოდა, ჯარები შეეკრიფნა, სამეფო გაემაგრებინა და მტერს გულგამეხებით შებრძოლებოდა და თუ ვერ გაიმარჯვებდა სამშობლოც ზვარაკად შესწირვოდა, ამის მაგივრად საყვარელს სამშობლოს უპატრონოდ სტოვებს, გააფთრებულს პირღია ვეშაპს უტოვებს და თვითონ სამშვიდობოში მოჰქუსლავს და იმერეთს შეაფარებს თავს.

ეს იყო პირველი გაქცევა სამშობლოდგან დევნილის თეიმურაზისა. იმერეთში დიდის პატივით იყო მიღებული იმერეთის მეფის გიორგისაგან და გურიის მთავარ მანუჩარისაგან. აქ გაჭირვებაში ჩავარდნილს ლტოლვილს მეფეს უაღრესად უმტკიცებდა და იჯერებს იმ აზრს, რომ ერთად ერთი ხსნა მისი სამშობლოსი აგარგანთაგან შეუძლიან მარტოდ მარტო ერთად-ერთს ძლევამოსილს რუსეთს. იმ დროს ეს აზრი საკმაოდ მომწიფებული იყო კახეთში, იმერეთში კი ჯერ ამის ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. ამ დრომდის რუსეთთან დამოკიდებულების ფერხულში, როგორც ზევითაცა ვსთქვით, მარტოლა კახეთი იყო ჩაბმული ეხლა კი ამ დამოკიდებულების ახალი ხანა იწყება. თეიმურაზის ზედგავლენით იმერეთის მფლობელნიც იწყებენ რუსეთისკენ ხელის ტოტინს. ამ ფერხულში ჩაებნენ აქამდის განზედ მდგომნი იმერეთის მეფე გიორგი და გურიის მთავარი მანუჩარი. სამნივ ესენი ელჩად ჰგზავნიან იმერეთიდგან იგუმენს—ქუმურდოს მღვთისმშობლის მონასტრის. ეს ელჩი უკვე 1618 წელს აღდგომის შემდეგ რუსეთის გზას ადგა და თან მიჰქონდა სამივე მფლობელის წერილები. შინაარსი და თხოვნა სამივესი თითქმის ერთი და იგივეა. სამივენი ერთხმივ ღაღადებენ შაჰაბაზისაგან აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებას და ქრისტიანობის უკიდურესს მდგომარეობაში ყოფნას. მტარვალმა შაჰაბაზმა, სწერს თეიმურაზი, მთლად ცეცხლსა და ნავთს მისცა ეკლესიანი და მონასტერნი წაჰბილწა წმინდა ტრაპეზნი და ხატნი მღვთის მშობლისა და სხვათა წმიდათა. სამეფო ჩემი მთლად დამიქციეს, გააუკრანეს და ტურათა და მგელთა სანავარდო მოედნად გახადესო. გარდა ამისა მომტაცა მოტყუებით ორი ვაჟიშვილი და ღვიძლი დედაჩემი და ტყვედ სპარსეთში გაჰგზავნა. თავისს

[1]) Бѣлокуровъ. Сношенія Россій съ Кавказомъ გვერდი № 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა 153

პოლიტიკური ჰორიზონტი



— ვა, ეს რა ამბავმა მოხდა! შუა დღეზე ეს რაღაც პოლიტიკური „ჰორიზონი“ ისე დაბნელდა, რომ ეშმაკიც ვერ გაიკვლევს გზა და კვალსა.

ვაჟას სახსოვრად მის ნაწერებიდან



„ხევსურთა ჭკონდათ ღრეობა“

ესკიზი „გველიჭამია“-დან. მხატვ. სიდამონ-ერისთავისა.

# მეძავი

ხან აქ გხედავ, ხან კი იქ,
ყველა კუთხეს მოხვდები,
ოჰ, ბედშავო, ნეტავი
რომელ მხარეს მოკვდები?!

ხან შემთხვევით მარტო ხარ,
მესმის ჩუმი ქვითინი,
ხან კი ხშირად ორნი ხართ,
უწმაწურად იცინი.

ხან აქ გხედავ, ხან კი იქ,
საცა უფრო ბნელია,
ფრთხილად დახვალ, ჩუმ-ჩუმად,
როგორც ქურდი მელია.

ხან აქ გხედავ, ხან კი შორს,
ოჰ, რა მწარედ ვლონდები,
მიცნობ ხოლმე დობილო?
სისწრაფით რად მშორდები?

ხან აქ გხედავ, ხან კი იქ,
ყველა კუთხეს მოხვდები,
ოჰ, ბედ-კრულო ნეტავი,
რა ადგილას მოკვდები?!

მიხ. ქავთარაძე.



მომღერალი **დავით აკოპაშვილი** დაჯილდოვებულია სტანისლავით და მესამე ხარისხის სისხლის ჯვრით ბანტითა და მახვილით.

# გასი

XVII

**მადლობა ღმერთს.**

დეპეშამ გვაუწყა, რომ ქალაქ ენისეისკში ბურცევისათვის გამოუცხადებიათ—თავისუფალი ბრძანდებითო. მადლობა ღმერთს, გულწრფელად უნდა ვსთქვათ, რადგან ეგები ჩვენმა დეპუტატებმა ეხლა მაინც მოიცალონ იმ დამწვარ-დადაგულ კუთხისთვის, სადაც იგინი ცხიბადნენ და რომელსაც სამშობლო ეწოდება. რაკი საზრუნავი საგანი მზრუნველობას აღარ საჭიროებს, უეჭველია, მზრუნველობით სავსე გული ჩვენის დეპუტატებისა ჩვენსკენ იზამს პირს.

სამწუხაროდ ბურცევით არ თავდება სია გადახვეწილთა. კვლავ დარჩნენ თვალგადუწვდენელ ციმბირის უღრან ტყეთა და ველებ შორის ხუთი დასელი დეპუტატი. ესენიც ჩვენ დეპუტატთა საზრუნავნი გამხდარან. ღვთით, ამათაც მალე გაანთავისუფლებენ. სატახტო ქალაქთა გაზეთები იმედიან ამბებს გვაწვდიან. მინისტრთა საბჭოს უკვე პრინციპიალად გადუწყვეტია, რომ გაანთავისუფლოს დეპუტატები,

ამ დღეებში განთავისუფლებას ეღირსებიან დასელთა რჩეულნი. რას იზამთ, დრო ასეთი დადგა და მეტისმეტი ჯიუტობა ხელსაყრელი არ არის.

რაკი ეს მოხდება, უეჭველია, ჩვენი დეპუტატები ჩვენთვისაც მოიცლიან, მაგრამ მაგარი ის არის, რომ რუსეთში ამ კატეგორიის საზრუნავი არ იქნა არ დაილია. ვაი თუ ხვალ-ზეგ ნ. ს. ჩხეიძემ თავისი მხურვალე გული და რიხიანი და „თამამი სამოქალაქო ხმა“ ბრეშკო-ბრეშ-

# ცხოვრება

„...და ვიხილე დედაკაცი, მჯდომარე მხეცსა ზედა წითელსა, სავსესა სახელებითა გმობისათა, რომელსა ედგნეს შვიდნი თავნი და ათნი რქანი; და დედაკაცსა მას ემოსა პორპირი და ძოწეული, შემკული ოქროითა და ქვითა პატიოსნითა და მარგალიტითა, და აქვნდა ხელთა მისთა ბარძიმი ოქროისა, სავსე საძაგლებითა და არა წმიდებითა სიძვისა მისისათა; და შუბლსა ზედა მისსა სახელი დაწერილი: საიდუმლო, ბაბილოვანი დიდი, დედა მეძავთა და საძაგლებათა ქვეყნისათა, რომლისა თანა ისიძვეს ყოველთა მეფეთა ქვეყნისათა, დაითვრნეს ყოველნი მკვიდრნი ქვეყანისანი სიძვისა მისისა“...

**გამოცხადება იოანესი 17,**
თავ. 3, 4, 5 ₢ 2.

I

კაკოლა დღეს არ ჩვეულებრივ გუნებაზეა: ალბად პატარა დაია ცქრიალას გამობრუნების გამო თუ, რომელიც აგერ თვეზე მეტია, რაც გადადებული ავადმყოფი გახლდათ. დღეს მასთან ერთად მხიარულობს, კისკისებს, სრულებით აღარ აგონდება უშველებელი კუზი, ზურგზე რომ უნაგირსავით წამოსდგომია. ან რას ინაღვლის, ცქრიალა გამოცოცხლდა, ცქრიალას შეუძლიან მასთან სირბილი და ეს ხომ პირველი საკითხი იყო მისი ნორჩი გულისა, რომელიც ამ ქვეყნად მშობლებისა და ამ პატარა დაიას იქით აღარავის ჰხედავდა. მელანოც სიხარულით ცაში დაჰფრენდა: აქაო და შვილი სიკვდილს ხელიდან გამოვტაცეო, დღე მუდამ სულ თავზე დასტრიალებდა და დედოფლობას ეთამაშებოდა. დედოფალი საკუთარ ხელით გაუკეთა: ჩხირს თავზე ლილი მიაბა, შემდეგ თეთრი მიტკალი შემოაკრა და ზედ სამი წერტილი დაასვა: ორ-ზემოდ, ვითომც თვალ-წარბის აღსანიშნავად და ერთიც ქვემოდ, რომელიც ერთსა და იმავე დროს პირიც იყო, ცხვირიც და ნიკაპიც.

მხოლოდ ღვთისო იყო ყრუდ. მას არ ესმოდა არც კაკოლას არაჩვეულებრივი გამხიარულება, არც ცქრიალას ენამოტეხილი ტიტინი, არც თუ მოსიყვარულე ცოლის გულდამწყვეტი ჩივილი, ადამიანო, რა არის, ერთხელ აქეთკენ მოიხედე, ხომ ჰხედავ, ცქრიალა ისევ ჩვენ გვეკუთვნის, განგებამ არ გამოგვწირაო. მაგრამ ის მაინც ულმობელი იყო, უდიერად თავიდან იშორებდა: რას ჰხედავ, ქალო, ჩემში არაჩვეულებრივს? განა ყოველთვის ასე არა ვართ?

მელანოც აღარ უხირდებოდა, ჯერ ცქრიალას დაჰკოცნიდა, შემდეგ კაკოლას. ბავშვებიც წამით შესწყვეტდნენ თამაშობას, დედის კალთაში ციყვებივით ჩაუხტებოდნენ და ოდნავაც არ დაგიდევდნენ, თუ მათ მშობლებს რაიმე ჯავრი აწუხებდა.

— ცქრიალა, ჩემო სიცოცხლევ,—ეტყოდა ფერმკრთალ გოგონას და თან კოცნით არ უსვენებდა,—ულელა გინდა, გენაცვალე? აი, მამა გაგიკეთებს კოხტა ულელას, ამოდენა ჭალები ექნება.

— გოგლები დედა?

— გოგლებიცა, შვილო.

— ჩვენი ქლელი ფუჩინაცა...

— მაშ, მაშ, გენაცვალე, ქლელი ფუჩინაცა...

შემდეგ კაკოლას დააცქერდებოდა. ბავშვი ჰხვდებოდა დედის ნაღველს. ისიც უსიტყვოდ შეჰყურებდა ის ცრემლმორეულ თვილებს, თითქოს ჰსურს უსაყვედუროს, რა დავაშავე დედი, რა შევცოდე გამჩენს, რო ასეთი მახინჯი დამბადეო.

მას არ ავიწყდებოდა ათასი უსიამოვნება, თუ ქუჩაში მისი ტოლები როგორ ხროვა-ხროვად ედევნებოდნენ და არ უსვენებდნენ:

„კოჭლო-კოჭლო ფაუხაო,
ჩემი ცხენი რა უყაო...“

ყველა ამან ძალიან ნაადრევად გაალვიძა ბავშვები ერთგვარი თავისშეგნება და მთელი ამ ქვეყნის უმადურება, რომელიც მასში, უწინარეს ყოვლისა, სიმახინჯესა ჰხედავდა. იგი იმავე თავიდან მიჰხვდა, რომ ბუნებისაგან დასჯილია: მისმა შინაგანმა ხმამ მთელი არსება აუალაგა და დარაჯობას შეაჩვია. წლოვანობაზე ადრე აღლომ უსწრო, რომელიც საოცარი სისწორით ხელმძღვანელობდა ადამიანთა აზრის გამოცნობაში, თუ ვინ რა თვალით შეჰხედავდა. უნდა გენახათ ამ დროს კაკოლა რა რიგ ენთებოდა! იგი სრულებითაც არ თხოულობდა შებრალებას. უმალ მზად იყო ყოველგვარი თანაგრძნობა თავში ეთხლიშნა იმისთვის, ვინც გაჰბედავდა და მის სიბაწყლეს დაიჩივლებდა. იგი მხოლოდ ერთ რამეს თხოულობდა დაბეჯითებით: სრულს ჩამოშორებას: ხმა, არავითარი შებრალება, არავითარი დაცვა, თვით ალერსიც კი... ნურვინ გაუხსენებს, რომ საბრალოა იგი, როგორც მახინჯი, კუზიანი...

ხშირად გამოუგლოვნია კაკოლას თავისი ბედი, ძალიან ხშირად. დედა სცდილობდა ენუგეშებინა, მაგრამ როგორ შეეძლო ბავშვის აქოთებულ არსების დამშვიდება? შუაზე იყოფებოდა დედის გული, უზომოდ იტანჯებოდა, ბავშვს გულში ჩაიკრავდა და აღელვებით ჩაჰკოცნიდა გატყაპულს ქუჩებში:

— ჩემო კაკა, კაკოლი...

გაიგონებდით მის ნაზ ჩურჩულს. მხოლოდ ამ დროს იყო კაკოლა რაოდენადმე ბედნიერი. კუზის ქვეშ ჩაცვენილ მხრებიდან თავს კუსავით ამოჰყოფდა, მაღლა ასწევდა ზაფრანასავით გაყვითლებულ სახეს და კოცნის უმალ ისევ უკან ჩასწევდა.

II

იყო დრო, როდესაც ღვთისოს მელანოზე არა ნაკლებ აწუხებდა კაკოლას ბედი. ხშირად უფიქრნია, რად მოხდა ასე, მე და მელანოს იმაზე მეტი ცოდვა ხომ არ მიგვიძღვის, რომ სიყვარულის ღმერთს მსხვერპლად შევეწირეთო, მაგრამ თუ მაშინ მისი კითხვა უპასუხოდ დარჩენილა, ამას ისე როგორადაც არ გაუტეხნია იგი. სულ სხვაა ეხლა მის წუხილი, ეს წარმოუდგენელი უძირო ჭური, საიდანაც ვაების შადრევანი მის საკუთარ სისხლს აჩქეფებდა. ყოველთვის, როდესაც ღვთისო შინ არის და ძირს დაიყურება, იცოდეთ, იგი ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნის. ამ დროს გონების თვალით მიჰქრის შორს, სადღაც მოგონების სივრცეში, სადაც სიზმრის სახით გაჰქრა მისი სიყმაწვილე, ეს ნეტარებისა და გულუბრყვილობის გაზაფხული, როდესაც ქვეყნიერებას მხოლოდ ერთი ზიზილა ყვავილთა ფურცლებით ჰფურჩქნიდა, ანუ მის სიყრმე, ვაჟკაცობა, ეს ზენიტამდე აწეული ზაფხული, როდესაც აცისკრებული ფრთებით გმირთა გმირის ღიმილით კავკასიონის მწვერვალამდე იზიდებოდა, ლალობდა თვით და ალალებდა თვის სიცოცხლის გაფოთქილ ნაძვსა. ეხლა? რატომ ჰგავს მეხით გაპობილ იმავე ნაძვს? რად გატიალდა, რატომ იქცა ასე ეულად? სად გაჰქრა ეს ნეტარი დრო? იქნებ მართლა სიზმარი იყო? სად იწყებოდა ოცნება, ან სად თავდებოდა სინამდვილე? ნუთუ ცელქი ზმანება ამ წარმტაც ფერადებს იმიტომ ჰსაჭიროებდა, რომ შემდეგ უფრო საშინელებად დაეხატნა თავის სახიერების ჩონჩხთა სასტიკი სინამდვილე? მაშვრალი კერა... ცქრიალას ავადმყოფობა... კაკოლას სიმახინჯე და ათასი გარდახედილი და გარდასახადი ჭირ-ვარამი... არა, ყოველისფერი სიზმარი იყო, სიზმარი... სჩანს, სიკეკლუცე მხოლოდ საშინელების შემეცნება ყოფილა... სჩანს, ყოველი მშვენიერი და მომხიბვლელი მართლა მშვენიერად იმიტომ გვეჩვენება, რომ გონზე მოსულთ უფრო საშინელებად მოგვაჩვენოს სინამდვილის ორგვარი სახე!

ღვთისოს ღატაკი ფილოსოფია პირვანდელ მოაზრეთა გონების ბურუსში დასცურავდა და ხშირად თავისთავის რეალ არსებობაშიაც კი ეჭვი შეუტანია, იქნებ მოჩვენება ვარ, იქნებ ჩემთან ერთად მელანოც, ცქრიალაც, კაკოც, მთელი ეს ქვეყანაც ლაბდს წარმოადგენენ, [illegible] ღილაც უცნობ ქვეყნის გამომკრთალ სახესაო. მის წინ [illegible] თა სამარადისო ძიების სალი კლდე, რაზეც ამაოდ თავს ახეთქებდა: რად დაიბადა, რა ჰქონდა მიზნად მის აქ მოსვლას, ან რად შეეცვალა ერთ დროს ლამაზი ხუჭუჭით მოფარგლული თავი ამ ნაადრევ ჭაღარის თრთვილად? მაგრამ პასუხი არ ეღირსა. მის გარშემო გამეფებული დუმილი კი მუდამ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა, რომ იგი მოშლილი მანქანაა, რომელიღაც ყოფილ ადამიანის აჩრდილი, ცხოვრების უკანონო შვილი, რომელსაც დიდიხანია ვილანც განგებ ბედნიერება აუკრძალა. თუ მაც როდისმე მეტყველი იყო, ეს რაღაც დაუჯერებელ ამბად მიაჩნდა, სიზმრად, რომელიც გამოღვიძებისთანავე ნისლსავით გაჰქრა. ნამდვილად კი იმ დასკვნამდე მიდიოდა, ვითომც იმავე თავით ასე მუნჯად დაბადებულა და, მაშასადამე, სიმუნჯეშივე უნდა დაელია ყარიბი სული. სხვაფრივ მის წარსულს რეალობისა არა ეტყობოდა რა, ეს იმ წარსულს, როდესაც იგი თითქოს ბედნიერი იყო, უკედ, საზღაპრო ქვეყნის გმირი. ეს მაშინ, როდესაც სოფელში ცხოვრებდა და ბედნიერების აკვანში ტკბილად ერწეოდა. რა ნეტარების ხანი იყო! მართალია, ობოლი იყო, მეღორეობა და მენახირეობა გამოსცადა, მაგრამ ეს მწყემსობა ერთგვარი იდილია იყო, მისი ცხოვრების მოკლე ნაწყვეტი, რომელიც მხოლოდ ერთი ნარნარი მარგალიტებით მოქარგული იყო. იმ დროს მზგავსი ფიქრები ერთხელაც არ მოსვლია. ის ქალწული იყო, როგორც მაყვლოვანი, ლაღი, როგორც ბუნება და სუმბული, ვით საღამოჟამს მოწყვეტილ ნისლთან მოთამაშე ცელქი ნიავი. სიცოცხლით სავსე, მჩქეფრი, ყოველისფერში სიცოცხლეს სჭვრეტდა. მის წინ უენონი ენას იდგავდნენ, ყოველისფერი ფერხულს უვლიდა, ერთგვარ სადღესასწაულო ორკესტრს აგუგუნებდა, რომლის სიმფონიაში არც ერთს ქარიშხალს არ შეეძლო ლაჟვარდი ნოტის შეპარება. თვით შემოდგომაც კი, ეს ბუნების დათალხული ყორანი, რომელიც ზარით და ვაებით ძაძასა ჰქსოვს მომავალ სიკვდილისა და საფლავის შესაგებებლად, იმ დროს ღვთისოში მხოლოდ სიცოცხლის დასაწყისი იყო, როგორც უალრესი სიმბოლო სამერმისო გაზაფხულისა. არა, სულ სხვა რამ იყო ეს სასტიკი „მაშინ“, ეს [illegible] ქრალი „როდესღაც“, რომლის ხსოვნა სიზმრის ფრთებით [illegible] აბა გენახათ იმ დროს ღვთისო მინდვრად, მთასა თუ ბარში, რიჟრაჟად, როდესაც ატკვრეცილი ლოყებით კამკამა წყაროს პირს თან თმას იბანდა და თან მჭადით მადიანად ილუკმებოდა! მაშინ მიხვდებოდით, რომ ღვთისო სადედოფლო მზის ჭალაკში ფერიათ მეუფე იყო, თუმცა მისი თვალწარმტაცი ფერია ხშირად მიხუტებული ხრუტუნა ძუძუს გოჭი იყო, ანდა მურიას თავი, ჩეროში წამოწოლის დროს რომ ეალერსებოდა! ვინ იქნებოდა ასე მდიდარი, რომელი მეფე? ფრინველსავით უზრუნველყოფილი ღვთისო ამ ყოფას არ გასცვლიდა თვალმარგალიტით მორთულ სრა-სასახლეში. რომელი ერთი გვირგვინი ემჯობინებოდა მის ნაბდიძველას? ახლა ბუნება, ეს ლაღი ამალა? აი, ყვავილები, რომელთა სამოსელს ასე საუცხოვოდ ვერც ერთი მარჩიელის ხელი ვერ მოჰქსოვს! ტოროლას წკრიალი, ფრინველთა ჟღივილ-ხივილი, მზის სიცილი, მწვერვალთა ბუმბერაზი ზღაპრების თხრობა, ლაჟვარდი გუმბათი, შორეული მეხრის ღიღინი და ამ სურათის აპოთეოზად ჩომბახ დატრიალებული ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვარშავის პოლიტეხნიკუმი გადმოაქვთ თბილისში.



ბატონი გზირი — მევახშე
კალიად შემომესია,

ქვეყანა ფეხქვეშ მითელავს
რაც ოფლით დამითესია

კოვსკაიას დაბრუნებას შეალიოს. ეს მოხუცი დედაბერიც ხომ საჭიროებს მზრუნველობას.*)

„სახ. ფურცლის“ პუბლიცისტები სამართლიანად უსაყვედურებენ საზოგადოებას: რაც დასთესე, იმას იმკითო, ანუ კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებაო. დასელ დეპუტატს არა სწამს ერი და თქვენ-კი მისდგომიხართ და საყვედურით ალრჩობთ თუ რატომ მტერს თავზე კაკალს არ ამტვრევ და ერის უფლებას არ იცავო ეს ულოღიკობააო. მართალია, ყოფილან სადღაც, შორს ჩვენგან, ბელგიასა თუ საფრანგეთს, აწ თვით გერმანიაში ისეთნი, რომელნიც ერის უფლების დასაცველად თავს იტეხენ და სისხლსა ჰღვრიან, მაგრამ ჩვენ რა. ჩვენი დასელი დეპუტატი სულ სხვაა. მათთვის, უწინარეს ყოვლისა, კაცობრიობაა. წამებულ საქართველოს წყლული მათს გულისყურს ვერ მიიპყრობს. ჭკვიანმა ალ. ხატისოვმა და მტრედივით გულჩვილმა და უზადო არშაკ ბაბოვმა კარგად იცოდნენ ვისაც აოეთრებდნენ. ბევრს ეხსომება საუცხოო სცენა ნ. ს. ჩხეიძის გადეპუტატებისა. ჭირნახულმა და მხცოვანმა სილ. ჯიბლაძემ წამოაჩოქა გამარჯვებული ნ. ს. ჩხეიძე საზვარაკო კურატივით, აღაპყრო ხელნი თვისნი და აკურთხა იგი საკაცობრიო მოღვაწეობისთვის. ხოლო ამ დროს გულჩვილი არშაკ ბაბოვი მდუღარე ცრემლსა ჰღვრიდა.

განმეორდა ძველი დიდებული ამბავი. საქართველოს მღვდელმთავარი, პატრიარქ-კათოლიკოსი ლოცვა-კურთხევით ისტუმრებს მის წინ მუხლმოდრეკით მდგომარე მეფე დიმიტრი თავდადებულს ურდოში. ხალხი კი (ეს სიტყვა ძალიან მიღებულია დასელების პრესაში) გულდათუთქული ცრემლსა ჰღვრიდა.

რომ იპრიანოს უფალმა და ბრეშკობრეშკოვსკაიაც გაანთავისუფლონ, ეგები მაშინ მაინც პირი ჩვენსკენა ჰქნან ჩვენმა უძლებმა შვილებმა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ადამიანი ხომ იმედით სცოცხლობს...

მერე რა აუარებელი საქმეა გასაკეთებელი. საქართველოს კარს მოადგა მთელის თვისის სისასტიკით შიმშილი. მომქმედი ხალხი, ნამდვილი და არა დასური, სალაშქროდაა გაყვანილი. შინ დარჩენილი უძლური ერი თავს ვერ ასდის კარზე მომდგარ უბედურობას.

*) სამწუხაროდ ბ-ნ ა.—ლის ეჭვი გამართლდა და, როგორც მკითხველი ახალ ამბებიდან დაინახავს, ჩხეიძეს მართლა ახალი საზრუნავი აღმოჩენია, „ორენბურ-[illegible]“. ამ ნაირად, ჩვენი დეპუტატი საქართველოსთვის ვერც ამ ჟამად მოიცლის...

წარსულ ხუთშაბათს ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრებაზე გადიშალა გულშემზარავი სურათი. ბ. დავით ლუკაშვილმა მოახსენა კრებას, რომ კახეთში ფუთი პური უკვე სამი მანათი ფასობსო. არიან სოფლები, სადაც სამის კვირის სურსათ-სანოვაგე მოუვიდათო..

საერთოდ კი მთელ საქართველოს შეუგროვებია მარტოდ-მარტოდ მეოთხედი იმისა, რაც საჭიროება ქვეყანას.

მართალია, საქართველო „კაცობრიობის“ ნაწილს არ შეადგენს, ამის გამო ამ უფლებააყრილ ქვეყანაზე მზრუნველობა მეტი ბარგია. ასე ჰფიქრობენ ჩვენი დასელი დეპუტატები, ხოლო ასე არა ჰფიქრობს დეპუტატი პაპაჯანოვი და თვით კავკასიის მთავრობაც. რუსეთი ვალდებულია პატრონობა გაუწიოს გამოქცეულთ: ასვან, აჭამონ, უექიმონ, ბინა აუჩინონ, წერა-კითხვა ასწავლონ და სხვა. სულ მცირე ხანს პაპაჯანოვმა ნახევარი მილიონი მანათი გამოაგზავნინა შინაგან საქმეთა მინისტრს გამოქცეულთა დასაპურებლად. აქაური მთავრობაც მილიონებს დახარჯავს. ეხლავე ეტყობა, რომ უმთავრესი აქაური კამიტეტი ფართოდ შლის ხელსა და ათას თუმნობით ჰხარჯავს ფულს. რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია, ხომ მოგეხსენებათ ძველთა ანდერძი. 1828 წელსაც უხვად დაურიგეს ფული აზრუმიდან გამოქცეულ სომხობას და დააბინავეს ჯავახეთს და გუმბრში. ქართველებს გამოქცეულები არა გვყავს, არიან მხოლოდ გაქცეულნი. აკაკი ჩხენკელს რომ ეშოვნა მათთვის ნახევარი მილიონი, განა ურიგო იქნებოდა?

ა.—ლი.

ღვთისო. არა, ის მეფეა, მეფე!.. უგვირგვინო მეფე, მაგრამ გვირგვინოსნებზე დიდად ნეტარი, უფრო ძლიერი, საწუკვარი!.. განა გასამტყუნარი იყვნენ ის გოგოები, რომელთაც მაზე რჩებოდათ თვალი!..

— ნეტავი მაგის საბედოს!—იტყოდნენ გულამოსკვნითა, რაკიღა დარწმუნდებოდნენ, რომ მათ შავ თვალთა ჯადოსნობა და ცეცხლის ფრქვევა საკმაო არ იყო ღვთისოს ასაგზნებად და მოსახიბლელად. არც თუ ბიჭები იყვნენ კარგის თვალით. მათ შურდათ ღვთისოს ბედნიერება, რატომ გამოერჩა ასე, რომ ყველა დაგვჯობნაო. ფალავნობა, ცეცხლი და უნარი ღვთისოსი ყველასათვის სანატრელი შეიქმნა. მათ ჯერაც არ დავიწყებოდათ მისი შარშანდელი უგნური თავგამოდება, როდესაც მეზობელ სოფლიდან მომავალს შემოჰლამებოდა, ნამქერისაგან გზა-კვალი აჰრეოდა და რომელიღაც მიყრუებულ ვენახის საწნახელში ღამე გაეთევებინა.

— რამ გაგაგიჟა, შე დასაღუპო რო ი საწნახელში რჩებოდი, ჰა!—ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან სოფლელები,—თუ ი ყინვისა არ გეშინოდა, რასა ფიქრობდი, რომ ტყურა-მგლები შემოგჭრომოდნენ?

მაგრამ ღვთისო გულიანად ხითხითებ-[illegible] ატრიალებდა, თითქოს უნდა სთქვას, მერე ამას რაღას უყურებთო!

მაგრამ რაც ღვთისომ თავი შეიგნო, მის გულში გამოურკვეველმა სევდამ დაისადგურა. ჰგრძნობდა, რაღაცა აკლდა, რომ ჯერ კიდევ სრული არ იყო. აი, ამ დროიდან შეეჩვია სალამურის ტარებას და მალე ამ მხრითაც გაითქვა სახელი. მართლაც, ყური უნდა დაგეგდოთ, როდესაც ბინდისას ის სალამურს ააკვნესებდა! ეხლა ეს უბრალო სტვირი კი არ იყო, პატარაობისას რომ ასკილის ქერქიდან გამოჰხდიდა და რამდენიმე თვალით აჰყვიტინებდა, არა, ეს სულ სხვა რამ იყო, ნამდვილი გულის კვნესა, ისეთი გულის მომწყვლელი ჰანგი, როგორიც არის დაჭრილ გულის იდუმალი ვაება, კაეშნით მოსილი სისხლისფერი მისი ყვავილი!

გოგოებმა ყველაზე ადრიანად აუღეს ალღო მის წუხილსა. ყველა ეკურკურებოდა. განსაკუთრებით კვირაობით და უქმე დღეობით, როდესაც საყდრის გალავანში თავს მოიყრიდნენ ბიჭებთან ერთად. ერთი ამბავი ჰქონდათ. ღვთისოს მისვლა პირდაპირ ლხინად ჩაღდებოდა, —ყველანი ცეცებით აშტერდებოდნენ. ისიც ჯერ ხუმრობდა, შემდეგ პაიჭიდან სალამურს ამოიღებდა, რამდენიმეს აათამაშებდა, ხოლო როცა თავს მოიმხიარულებდა, სალამურს ისევ პაიჭში გაირჭობდა და პირმცინარედ დასძახებდა:

„ბანი მითხარი ბიჭებო და—აარალალო...“

და გოგო-ბიჭებიც ტაშს დაჰკრავდნენ. ღვთისო შაირის გუდად გადაიქცეოდა ხოლმე, ბევრს აცინებდა, თუ „კოჭლი გოგო“ როგორ „ათამაშა“, რომლის „ცოდვით დავიწვიო“, მორჩებოდა და ახლა თავის საყვარელ „სევდის გოგონას“ მიჰმართავდა. ეს საკუთარი შაირი იყო. კისკისი ეხლა სევდის სახით იმოსებოდა. მტოკავი ახალგაზდობა ზღვასავით ჰბორგავდა. ვნების სიჰარბე მძლავრად სჩქეფდა. ძარღვები სისხლით ევსებოდათ. ნაკვერჩხლებად აგუზგუზებული თვალების წამწამებს უწვავდათ. ყველა ერი წყურვილს გაეტაცნათ: სიყვარულის ნექტარს. თვით მოხუცნიც კი ღიმილით შეჰხაროდნენ მათ, თითქოს რაღაც სანეტარო წარსული მიმოცნების ნიავ-ქარი [illegible] ჰფურჩნის აწ [illegible] გრძნობათა ყვავილსაო...

### III

პირველად მელანომ ესროლა ღვთისოს ტრფიალების მწველი ისარი, მელანომ დაჰკოდა მისი მეფური სიდიადე. ეს საყდრის გალავანში კი არ მოხდა უქმე დღეს, საზოგადო მხიარულობის დროს, არამედ სულ უბრალო შემთხვევით. წინასწარ ეს ამბავი არც ერთმა იცოდა, არც მეორემ. მართალია, მათ ერთმანეთი ბევრჯელ ენახათ, მაგრამ თუ ტრფიალების მწვანე ჭალაკში მათ ერთად მოუხდებოდათ ნავარდობა—ამას კი ვერ წარმოიდგენდნენ. ეს მოხდა ალიონზე, როდესაც ღვთისომ ჩვეულებრივ სოფელს ჩამოუარა ნახირის გამოსარეკად და მელანოს ბაკში თვალი მოჰკრა.

— ღვთისო, ღვთისო,—გადმოსძახა ბაკიდან მელანომ,—შენს გახარებას, პატარა მოიცადე ძროხა მოვწველო.

პასუხისთვის არ მოუცდია, სწრაფად ძროხას ხბო მოაშორა, სარძევე კალთაში ჩაიდგა და ლიტინით გარინდულ ძროხას ჯიქანზე ხელი შემოჰკრა და თან მარჯვეთ შხაპუნით წამოუშვა ნოყიერი რძე. ღვთისო ბაკთან შესდგა, უნებურად მარგილზე მოეჭიდა და მელანოს კალთას აგზნებულ თვალით მიაშტერდა. რაღაც ბურანმა დაუარა. თითქოს თვალთ უბნელდებოდა. წატორტმანდა. ის ის იყო წაიქცეოდა კიდეც, რომ სერიდან მოქროლილ ნიავს არ შეეკავებინა. ამასობაში მელანომაც ძროხის წველა გაათავა და მხიარულად შეჰნიშნა ღვთისოს:

— რას გარინდულხარ, შე თავმკვდარო, აჰა, წაიყვა...

ძროხა ბაკიდან გამოაგდო. შემდეგ სარძევეს დაუბრუნდა, დერეფანთან მიმწყვდეულ ხბოს მიუალერსა, თითქოს შეეცოდა კიდეც, რომ საბრალოს დედისკენ რჩებოდა თვალები და დაფეთებით თან ლობეზე ულონოდ ჰლამობდა დედასთან გადახტომას, თან კი უნუგეშოდ ზმუოდა, თითქოს შებრალებას ითხოვდა, რას ვაშავებ, დედის ძუძუსთან გამიშვითო.

მელანომ შინ შესვლისას რომ უკან მოიხედა, შეჰნიშნა, რომ ღვთისო ისევ იქ იდგა და თითქოს წასვლას აღარც კი აპირებდა. თვითონაც არ იცოდა რატომ, უნებურად პირზე ღიმილით შესციცინა. მაგრამ თვალის დახამხამებაზე კეკლუცი ალმური მისწვდა და ფერმკრთალს კიდეც სარძევე ხელით გაუვარდა. თავს ძალა დაატანა, სწრაფად შეიჭრა დერეფანში, იქვე ჩაცუცქდა და ჭუჭრუტანიდან ქურდულად დაიწყო ცქერა. გული ისე უთრთოდა, როგორც თეთრი, ახლად მოსული თოვლის ფითქი. ის იყო ერთგვარი გაზაფხულის სხივთა ნიავი, რომელიც მოწიფებულ ვარდის კოკორს ნელნელ თმას უწეწს, გაუპობს გულს და თვის სალმრთო ფრთებით მიდამოს მიმოჰფენს მის მატკბობელა სურნელოვანებას. ღვთისომაც გონი მოიკრიბა, ერთი ღრმად ამოიოხრა და საჩქაროდ დატრიალდა, რომ კალოებზე გაფანტული საქონელისთვის კვლავ თავი მოეყარა. მურიაც ქასქასით მოიჭრა. ეუცხოვა ღვთისოს ასეთი დაღვრემილი სახე, რამდენჯერმე თათებით შესთამაშა, შეჰყეფა და უგულობა რომ შეამჩნია, მოჰკურცხლა და მხოლოდ მაშინ აედევნა ძუნძულით, როცა ღვთისომ საქონელი დაილალა საძოვრისაკენ. მელანომ მხოლოდ ეხლა იდროვა. რა წამს ღვთისო სოფლის გარედ გასული დაინახა, ფეხაკრებით გამოიპარა, ერთი აქეთ-იქით გაიხედგამოიხედა და შემდეგ ისარივით გაიჭრა გარედ და თავიანთ სახლის ერდოდან ძველ დარბაზის გვირგვინთან ამოყუდებული მქირდაჯს თვალით გაჰყურებდა შორს მიმავალ ნახირს და მის მწყემსს, რომელიც განთიადის მღელვარე წითელ სხივებში მოტივტივე ბუჩქებში პორფირ მოსილი მეფესავით ხანა ჩნდებოდა და ხან ისევ იკარგებოდა. მხოლოდ ეხლა დაუგდო მელანომ თავის გულს ყური, ეხლა შეამჩნია მისი უხმო ძახილი, რაღაც უცნაური საუბარი, ღმერთო, როგორ ჩქროლავდა, როგორ მტრედსავით ფრთხიალებდა! უეცრივ ისე იგრძნო, თითქოს გული დაესერა. მას თვალწინ კოცონად ანთებულ სანახაობის მეტი აღარა დაუნახავს რა. როდის-როდის მოვიდა გონზე. მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, რომ თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. იყო ეს ბედნიერების შეგნების ცრემლი? მან არ იცოდა. არც უკითხნია. ეს კია, რომ მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, რომ მისი მომაჯადოებელი წერტილი უკვე გამქრალიყო. დაეშვა დაბლა. დერეფანში კვლავ ფეხაკრებით შეიპარა. რძე დააბინავა, უკეთ დაბინავებული დახვდა: მის დედას უკვე აედუღებინა და მას მხოლოდ ქვაბის გადმოდგმა დასჭირდა და მაწვნად შედედება. საოცარი იყო, რაღაც სირცხვილმა აიტანა. ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა და სულ [illegible] იყო, რომ დედისთვის არ შეეხედნა. ერთხელ დედა კიდეც გამოეხმაურა, მაგრამ ისეთი უდიერი პასუხი მისცა, რომ თვის უკმეხობისა თვითვე შერცხვა, ადგა, გარედ გამოვიდა და აქეთ-იქით წყვეტების შემდეგ მეზობლის ბაღჩაში გაარიდა თავი და იქ ერთი ტყემლის ქვეშ აქვითინდა.

ასე მიფრინავდა დღე, ასეთ ხაღვლით გააპოხიერა მელანომ თვის გულის მდელო, სადაც მის სევდეს ყვავილმა იწყო ნაზი და იდუმალი გაფურჩქვნა. რამდენიმე დღეში ისე ჩამოსდნა, რომ მეზობლებს და მითუმეტეს იმის დედას შეუმჩნეველი არ დარჩა:

— ვაიმე შვილო, ქვრივ-ობლობით გამოზრდილო, ეს რა ღმერთი მიწყრება, რა გემართება?

ეტყოდი მელანოს და მკითხავთან გარბოდა. მაგრამ მელანოს მკითხავი არ ესაჭიროებოდა, ყოველ მის წინადადებას ხელოვნურად იშორებდა. მისი მკითხავი მხოლოდ მარტოობა იყო, მისი მარჩიელი —მყუდროება. ღამე პირველი მაუწყებელი იყო მესაიდუმლოეს ჩამორჩენისა. მის ყურთუკზე მისვენებული გაშტერებულ თვალებით შეჰყურებდა უცვაურ მესაიდუმლეს, რომლის იალქნებ აშლილიანი ხომალდი ოცნების ოკეანის ზვირთებზე დაასრიალებდა. გათენდებოდა. მისი სამეფო ინგრეოდა და მელანოც კვლავ გარედ ლანდსავით გაჰქრებოდა, რომ ფარულად შესძლებოდა ღვთისოს მოლოდინში ამომავალი მზის ბორბალის ცეცხლის ყურება. რარიგად თრთოდა ამ დროს იგი! ცეცხლის ჰაეროვან გემად გამოცურებული კავკასიონი საამურად დასრიალებდა ამ დიდებულ ცეცხლის ტალღებზე. ისე მოსჩანდა, თითქოს ეს ცა, სივრცე, ანუ მზე, ხმელი. თვით ძველი დარბაზის გვირგვინიც კი, რაღაც მერცხლები ელვასავით ეშვებოდნენ და საამურად ჟღმურტულობდნენ, ერთი სიტყვით, ყოვლისაგან ყოველისფერი ერთსა და იმავე საძალთა-ძალო საამო ჰიმნსო მოიმღეროდა:

„სიყვარული... სიყვარული“...

— ოჰ!..

გაიგონებდით მელანოს იდუმალ ამოკვნესას, მაგრამ მისი კვნესა ისე გამქრალა, როგორც უკვალოდ გაჰქრება ვარსკვლავთა ელვარებას მომტყდარი სხივი და სივრცის უბეს გადამდნარი მის ბროლის ფიფქი.

მაგრამ აი, [illegible] გაისმებოდა ხმა: „გამო-ო-ლალეთ, წავიდა ნახირი..!“ და მელანოც წამოიფთხრიალებდა. რაღაცა გამოუთქმელი ძალა მუხლსა ჰკვეთდა. გვირგვინის გვერდით ჩაცუცქული თვალს გაადევნებდა თავის დამატყვევებელ რაინდს და როდის—როდის თითქმის ლუღლუღით ნიავს ატანდა დამწველ სევდას:

— უთხარი, უთხარი... მელანო დაგენაცვლოს-თქო, გესმის, მელანო გენაცვალოსთქო..!

მაგრამ ნიავი ანცობდა, მის ალმურ ანადენ შუბლს სისინა ენითა ჰკოცნიდა, კავებს უწეწავდა და არას დაგიდევდათ მის სევდას, როგორც ყურს არ ათხოვებდნენ მის დარბაზის გვირგვინში მოსრიალე ფრთაცქვიტი მერცხლები.

(შემდეგი იქნება)

დ- კასრაძე.

გან თავისი უტიფრობით, ჭუჭყით და სიყალბით მხოლოდ „სახალხო ფურცლის“ ჩვეულებრივ ინსინუაციას გვაგონებს და არავითარი არც ლოღიკური არც ფსიხოლოგიური მოტივებით არ აიხსნება: ვითომ ჩვენ წარმომადგენელს ეთქვას, რომ „გოთუამ ამას წინად ხუთასი თუმანი გვიშოვნა და ახლაც დაპირებულია ბლომად ფულის შოვნას. ამიტომაც, რასაც ვფიქრობთ ამ შემთხვევაში (არჩევნებზე), იმის პირდაპირ დაწერა არ მოხერხდებაო“. ასეთი ფრაზის თქმა არამ თუ გაზეთის თანამშრომელს, და მით უფრო **წარმომადგენელს**, არამედ უბრალო კინტოსაც არ შეეძლო, უბრალო მექრთამეს და თუ გოგიჩაიშვილმა ვერ დაამტკიცა სასამართლოში, რომელშიაც იწვევს ადამაშვილი, ან ბოდიში არ მოიხადა სიცრუისა და ცილისწამებისათვის „სახალხო ფურცლის“ ფურცლებზედ—ჩვენ უფლებას ვიტოვებთ სხვა საშუალებით მოვთხოვოთ პასუხი ჭუჭყიანი და უპატიოსნო შეურაცხყოფისათვის

ამის შემდეგ, ფ. გოგიჩაიშვილი იღებს ნაწყენ პოზას და აცხადებს: „შეურყეველ უარს ვაცხადებ არჩევნებზედო“. კიდევაც! გასაკვირალი იქნებოდა, რომ ამდენ სიყალბის და ცილისწამების შემდეგ, კაცს იმედი ჰქონდეს არამცთუ ბანკის დირექტორის ადგილი, არამედ საზოგადოთ ქართველ საზოგადოებაში დარჩენისაც კი. ჩვენის ღრმა რწმენით, ადამიანი, რომელიც ამრიკულ ბიუროებს აწყობს თავის ასარჩევად და შანტაჟით აპირობს თავის გათეთრებას, ღირსი არ არის ამისა. ჩვენ აღარას ვიტყვით იმ „პოეზიის“ შესახებ, რომლითაც ნაწყენი გოგიჩაიშვილი უმასპინძლდება ქართველ საზოგადოებას: მთელი სიცოცხლე ბანკის დირექტორად ვემზადებოდი და სხვას არჩევენო, ღმერთმა კეთილი მისცეს საქართველოსა და მე კი ვერ დამაფასაო, „непонятый геній“, აქ ერთი სურათიცაა დართული ლამაზ ქალზე, მის სიყვარულსა და თავის „მოხილვაზედ“, მაგრამ ეს სანტიმენტალური მოთქმა ex—დირექტორისა ვეღარ გავიგეთ.

# ახალი ამბავი

✦ **დეპუტატი ჩხეიძის ახალი საჩრუნავი.** როგორც გაზეთი „რეჩი“ გადმოგვცემს, დეპუტატი ნ. ს. ჩხეიძეს უუწყებია შინაგან საქმეთა მინისტრ თავ. ნ. ბ. შჩერბატოვისთვის, რომ ორენბურგში ზოგიერთ მუშებს იჭერენ, რომელნიც სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში მოჰყოლიანო.

✦ **სათად-აზნაურო გიმნაზიაში ქართულ ისტორიის გაკვეთილების გაუქმება.** როგორც გავიგეთ, სათავად-აზნაურო გიმნაზიაში ქართულ ისტორიის გაკვეთილები გაუუქმებიათ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ბ-ნ დ. კარიჭაშვილს თავი დაუნებებია გაკვეთილებისთვის და მეორე პირი, სპეციალისტი ამ საგნისა ვერსად უშოვნიათ. გასაოცარია! საქართველოში მეორე პირი აღარ მოიპოვებოდეს ჩვენი ისტორიის მცოდნე!

✦ **კრება.** დღეს, 23 აგვისტოს „ახალ კლუბის“ შენობაში დანიშნულია 12 საათზე მომხ. საზოგ. „მეურნის“ გამგეობის კრება, მორიგი საკითხის განსახილველად.

✦ **კახეთის რკინისგზა.** 15—19 აგვისტომდე (5 დღის განმავლობაში) მგზავრებისაგან და საქონლის გადატანით 6,937 მანეთი შემოსვლია კახეთის რკინის გზას. ამ ფულიდან კავკასიის რკინისგზას ერგება 116 მანეთი.

✦ **ქართული თეატრის** პარტერის გადაკეთების პროექტი, „ახალი კლუბის“ მიერ შემუშავებული თავად-აზნაურთა საკრებულომ მოიწონა და დასამტკიცებლად გადასცა იგი საგუბერნიო გამგეობის საალმშენებლო კომისიას. წინასწარი მუშაობა თეატრის გადაკეთებისა უკვე დაიწყო „ახალი კლუბის“ ადმინისტრაციამ.

✦ **ფუნიკულერი.** რამდენიმე ხანი გავიდა, რაც ფუნიკულერის ვაგონები არ მუშაობენ, რადგან თბილისში ანტრაციტი არ იშოვება. დღეს, 23 აგვისტოს, დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე, ვაგონები იმუშავებენ. ანტრაციტს თუ საკმაოდ იშოვეს, ვაგონების მიმოსვლა წესიერად განახლდება.

✦ **აჭარლების პროცესი.** როგორც გვატყობინებენ, ამ მოკლე ხანში მრავალი აჭარელს გაასამართლებენ ბათომში. ბევრ მათგანისათვის უკვე ჩაუბარებიათ საბრალმდებლო ოქმი. პროცესი ყოველმხრივ საინტერესო იქნება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ბრალდებულო ღალატს აბრალებენ.

✦ **ხოლერა, წყალი და სამოქალაქო დაწყებითი სკოლა.** თბილისის საქალაქო მმართველობა განცხადებას განცხადებაზე სცემს, აუდუღარი წყალი არ დალიოთ, ხოლერის შიში უნდა გვქონდესო. საოცარია, რომ ქალაქისავე სკოლებში ბავშვები აუდუღარ წყალს სვამენ. მეტადრე სახიფათოა იმ სკოლებში, სადაც სწავლა მხოლოდ ნაშუადღევს იწყება. იმედია, ამ გარემოების განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

✦ **დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცები.** ამ დღეებში თბილისს ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილ და დაავადმყოფებულ ქართველი ჯარის კაცნი: ჭანტურია ვლადიმერ ივანეს ძე, სალუქვაძე თედორე ედიშერის ძე, მალნიაშვილი ლუკა ლაზარეს ძე, კალანდაძე სევერიანე დიომიდეს ძე, კვირკველია რაზინ კონსტანტინეს ძე, შვილდაძე ბენედიქტე სიმონის ძე, შიკელაძე სიმონ იასონის ძე.

✦ **შავი სახადი ციხეში.** მეტეხის ციხეში შავი სახადი გაჩნდა. ამ მოკლე ხანში 5 ტუსაღი გახდა ავად.

✦ **ხოლერა.** 22 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მოიყვანეს ხოლერიანი 8 კაცი; გარდაიცვალა 3 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერის ნიშნებით 6, ხოლო ხოლერიანი 87 კაცი. უკანასკნელთა შორის 23 ჯარისკაცი

✦ **გადამდები სენი.** 22 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 31, ხუნაგიანი 18, ყვავილიანი 1, მუცელაიანი 3, საოფლიანი 20 და შავი სახადიანი 38 კაცი.



ხოლერის ბაცილებს ვერ ვპოულობთ.



ვიპოვეთ ბაცილები.

✦ **სურსათი.** 21 აგვისტოს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 6 ვაგონი, ქერი 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., ქონი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., საზამთრო 1 ვ., მადნეული წყალი 1 ვ., შეშა 3 ვ., ნახშირი 3 ვაგ., ნავთი 6 ვაგ., კარტოფილი 171 ფუთი, კარაქი 76 ფ., კომბოსტო 171 ფ., ახალი თევზი 132 ფ., კირი 533 ფუთი.

## წერილი ბათომიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

17 მარიამობისთვე არა-ჩვეულებრივი დღე იყო ბათომელთათვის. ამ დღეს ირჩევდნენ ქალაქის თავს, მის მოადგილესა და საბჭოს მდივანს. ორ ბანაკად გაყოფილნი მოპირდაპირენი დიდს მზადებაში იყვნენ.

საღამოს $7^1/_2$ საათზე საბჭოს დარბაზი ხალხით გაივსო. შეგროვდნენ ყველა ხმოსნები. აკლდა ერთი, მაგრამ ისიც ეტლით მოაბრძანეს. ეს გახლდათ ის, რომელიც არჩევნების დროს ამომრჩევლებმა გააშავეს, მაგრამ სხვებმა კვლავ ხმოსნად აღადგინეს, როგორც წარმომადგენელი სასულიერო წოდებია. ამან გამოიწვია პროტესტი ერთი ჯგუფისა, რომელიც მოითხოვდა, რომ მისი გაშავების ამბავი მოხსენებოდა მღვდელმთავარს ლეონიდეს და მის მაგივრად სხვა გამოეგზავნა, რადგანაც ერთხელ გაშავებულ ხმოსანს—სენატისა და კანონის განმარტებით ადგილი არ უნდა ჰქონოდა იმავე სესიაში მონაწილეობის მიღებისა. მაგრამ ასეთმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა: სხვები გამოექომაგნენ და დღეს საჭიროდ ვერ სცნენ ამ საკითხის განხილვა.

ბარათებით დაასახელეს: ანდრონიკაშვილი—28 ხმით და კრინიცკი—7 ხმით.

გლოვა ტირილს იმითი ათავებს თეიმურაზი, რომ წინადაც საქართველო, როცა მეფე ალექსანდრე მეფობდა კახეთში და რუსეთი მფარველობას უწევდა მტერი ვერაფერ ვნებას ვერ უშვრებოდა და ეხლაც გთხოვთ კვალად მიგვიღო თქვენს მფარველობის ქვეშ. თეიმურაზი სთხოვს რუსეთის ბრძანებელს მისწეროს სპარსეთის შაჰს რომ თავი ანებოს საქართველოს აოხრება-აწიოკებას და დაუბრუნოს დედა და შვილებიც.

ამგვარივე შინაარსისა არის იმერეთის მეფისა და გურიის მთავრის წერილები. ისინი წერილებისავე დასაწყისში ადასტურებენ შაჰაბაზისაგან საქართველოს აკლების ამბებს და ერთხმივ სთხოვენ მიიღოს ისინიც თავის ქვეშევრდომობის ქვეშ და გამოგზავნოს ელჩები მათის სამფლობელოს სანახავად და დასათვალიერებლად. ამასთანავე ატყობინებენ, რომ ჩვენს სამფლობელოში გადმოსავალი გზა უფრო ადვილია და სახერხო ჩერქეზეთზედაო.[2])

ამ გვარის წერილებით დატვირთული წინამძღვარი ხარიტონი მიადგა რუსეთის დედაქალაქს მოსკოვს 1619 წელს აპრილის შუა რიცხვებში. რუსეთში ამ ჟამად მეფობდა მიხეილ ფედორეს ძე რომანოვთა საგვარეულოდან (1613—1645). მაგრამ აქ საჭიროა ცოტაოდნათ შევსდგეთ და გაკვრით მაინც გავიხსენოთ რუსეთის მაშინდელი მდგომარეობა.

მას შემდეგ, რაც რუსეთში ბორის გოდუნოვს ხალხი აუტყდა, რამაც უპირველეს ყოვლისა თვით გოდუნოვი, სახლობიანათ იმსხვერპლა, აჯანყების ალი მთელს რუსეთს მოედო და გავარვალებულ თორნეს დაემსგავსა. გამძვინვარებული ზღვასავით ჰფეთქავდა და ჰღელავდა განრისხებული, აბობოქრებული და [illegible]კვალ აბნეული ხალხი, რომელიც ხან [illegible] ჩამოსკუპებდა რუსეთის ტახტზედ ხან ვის. საშიში იყო მაშინ რუსეთის მდგომარეობა, არავისლა სჯეროდა ვისმე, ერთი თავის მტვრევა და ორომტრიალი იყო ირგვლივ გამეფებული რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე ყველა არ მოიქანცა და ნიათი არ გამოელია ბრძოლისა და ქიშპობისა. ბოლოს როგორც იყო გონს მოვიდა ხალხი, გააფთრებული გრძნობა დაამდა, თანდათან ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. გონს მოსულმა რუსეთის გამოჩენილმა პირებმა, სამეფოს გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსაყვანად მთელის რუსეთის წარჩინებულთა კრება მოიწვიეს და მეფედ მთელის რუსეთისა ამოირჩიეს ახალგაზრდა ჯერედ მხოლოდ 16 წლის ვაჟკაცი მიხეილ თედორეს ძე რომანოვი. რომელსაც მხარში უდგა რუსეთის წარჩინებული პატრიარქი ფილარეტი. მამა მიხეილ თედორეს ძისა. ეს მოხდა 1613 წელს.

ქართველი ელჩები ჩვეულებრივის პატივით მიიღეს მეფის კარად და მოისმინეს ქართველ მეფეთა და მთავართა ვედრება და თხოვნა. თვით რუსეთის, რასაკვირველია, იმ ჟამად ძალა და ღონე არ შესწევდა, რომ რამე არსებითი დახმარება გაეწია საქართველოსთვის, ამიტომ რუსეთის კარად მისულნი ელჩები ცარიელი სიტყვების დაპირებით გამოისტუმრეს.

უპირველეს ყოვლისა თეიმურაზი და მასთან იმერეთისა და გურიის მფლობელებს შემოუთვალეს, რომ სამთავეს სამეფოს თავის მფარველობის ქვეშ იღებს რუსეთის ხელმწიფე სამუდამოდ. რაც შეეხება სპარსეთისაგან საქართველოს აოხრებას, რუსეთმა დაავალა იმ ჟამად რუსეთში მყოფ სპარსეთის ელჩს ბულათ ბეგს, რათა შეეტყობინებინა შაჰაბაზისათვის, რომ ამიერიდგან ივერიის მფლობელნი, მის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და ამიტომ შაჰი მოვალეა თავაზიანად მოექცეს მათ, ხელი აიღოს საქართველოს აოხრება-აწიოკებაზედ და თუ რომ მძულვარება და განხეთქილება ჩამოვარდება მათ შორის, ირანის მბრძანებელი მოვალეა აცნობოს რუსეთს.

ასეთი პასუხი იყო იმ დიდ იმედებზედ, რომელზედაც ბედკრული თეიმურაზი ოცნებობდა. და ან კი მეტი რა მოეთხოვებოდა მაშინდელს რუსეთს, როდესაც თვით დიდს გაჭირვებას განიცდიდა. თუმცა 1613 წლიდგან რუსეთი თითქმის დამშვიდდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო საჭირო, რომ დიდის ხნით აბობოქრებული ზღვა დამშვიდებულიყო. მიხეილ თედორის ძის მეფობის მთელი ხანა, გახდა შინაური არეულობის დაწყნარებისა და მოწესრიგებისა, გაუთავებელი და დაუსრულებელი ბრძოლა იყო მეზობლებთან. შინაურობა დაუწყნარებელი, ძალთა გამოფიტული, გარეშე მტრები კარზედ მომდგარნი, დაცარიელებული და ნივთ გამოლეული ხაზინა,—აი მაშინდელი სურათი რუსეთის მდგომარეობისა. რასაკვირველია, ასეთს მდგომარეობაში მყოფი მეფე მიიქიდგანაც არ ასეოდა მტერი და სახელმწიფოს მდგომარეობა უფრო არ გართულებულიყო.

რასაკვირველია, ასეთს მდგომარეობაში მყოფ რუსეთისა არც შაჰაბაზს ექნებოდა შიში და მოკრძალება, მაგრამ მუდამ წინ დახედული და მლიქვნელი ენის პატრონი შაჰი მაინც სცდილობს რუსეთისადმი კეთილი განწყობილება უაღრესად განამტკიცოს და მით ხელი სრულიად ხსნილი ჰქონდეს საქართველოში სათარეშოდ. სწორედ ამითი აიხსნება, რომ როცა ზოგიერთის საქმეების გამო რუსეთის ელჩები ტიხანოვი და ბუხაროვი მივიდნენ სპარსეთში, შაჰაბაზი ცას დაეწია და ისეთი სიხარული და აღტკინება გამოიჩინა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. ნიჭიერმა პოლიტიკოსმა მაშინვე ალღო აუღო ამ გარემოებას, აშკარად მიხვდა, კოჭი ალჩუს დამიტყდებაო და ამ გვარი ცბიერი სიტყვებით მიჰმართა რუსეთის ელჩებს:

— მე მკვიდრი და მჭიდრო მეგობრობა მინდა მქონდეს მეფე მიხეილ ფეოდორეს ძესთან, დავეხმარები მუდამ ჟამს, რითაც კი შემეძლება, ფულითაც, სამხედრო სურსათითაც, ლაშქრითაც, და რომ უფრო დაეჯერებინა ელჩები თავისს ნათქვამში, ზეცისკენ აღაპყრო თვალნი შაჰმა და წარმოსთქვა:

— ღმერთმაც დღენი ნუ გამითენოს, თუ ჩემს ძმას მიხეილ თეოდორეს ძეს ვუღალატო ოდესმე[3]).

ამის შემდეგ 1617 წელს ვხედავთ, რომ საქართველოს აოხრების მეორე წელს, რუსეთისაგან ახლად გამოგზავნილს ელჩს ლეონტიევს შაჰაბაზმა ძლვნად რუსეთისათვის გამოატანა 7,000 მანეთის ვერცხლი რაც რუსეთის მაშინდელ ქესატ ხაზინისათვის კარგი ბედენა იყო.

ამგვარად რუსეთსა და სპარსეთს შორის სრული მეგობრული განწყობილება დამკვიდრდა, შაჰაბაზი ფიანდაზად უშლის მთელს თავისს სამფლობელოს, წითელს კვერცხს უგორებს რუსეთს და მის სიამოვნებაში ამოსდის სული. რასაკვირველია ასეთს გარემოებაში შეუძლებელი იყო რუსეთს თავი გამოედო ცხრა მთას იქით გადაკარგულს საქართველოსათვის, გინდაც იგი სისხლით მორწყო, ცეცხლისა და ნავთისათვის მიეცათ. ძნელი იყო რუსეთისათვის აქტიურად საქმეში ჩარევა და მეგობრული განწყობილების დარღვევა სპარსეთთან, რაც ისე საჭირო იყო მისთვის იმ ჟამად. და აკი ამიტომაც საქართველო შაჰაბაზის სათარეშო მოედნად გადაიქცა.

ერთად ერთი საქრისტიანო ქვეყანა, რომლის დიდი იმედიც საქართველოსა ჰქონდა, რომ უკიდურესი გაჭირვების დროს დახმარებას გაუწევდა, ხელფეხშეკრული გამოდგა მაშინ და თითონაც არა ნაკლებ საჭიროებდა დახმარებას. საქართველო დარჩა პირდაღებული ნადირის კერძად, უპატრონოდ და უმწეოდ, ანაბარად ღვთისა და ბედისა. გაჭირვებაში, უბედურებაში და აწიოკება-აოხრებაში ლაფავს სულს ბედკრული. მის მფარველი რუსეთიც ისეთს გაჭირვებაშია რომ იმ 7,000 მანეთის ვერცხლის მიღების შემდეგ, თავისი ახალის ელჩების, ბარიატინსკისა და ჩიჩერინის პირით ახალს დახმარებას სთხოვს სპარსეთს ფულით, პოლონელებთან ომით გამოწვეულის ხარჯების დასაფარავად.[4])

დრო გავიდა. რუსეთმა 1621 წელს ახალი ელჩები გაჰგზავნა სპარსეთს კუვშინნიკოვი და კირიბინი, რომელთაც სხვათა შორის დაბარებული ჰქონდათ საქართველოს შესახებაც მოლაპარაკებოდნენ შაჰაბაზს. არაჩვეულებრივის მხიარულებით მიიღო რუსეთის ელჩები შაჰაბაზმა და სულ მათს პატივისცემასა და ფერობაში იყო. აღტაცებულმა შაჰაბაზმა თვალები ზეცას მიაპყრო და ხელების გაწვდით აღმოსავლეთურის ცხოვრებით წამოიძახა:

— სამეფო, ქვეშევრდომნი და ხაზინა ჩემი,—ყველა ეს ჩემი საკუთრება არ არის, ყველა უფლისაა და რუსეთის მბრძანებლისა მიხეილ თეოდორეს ძისა, იყავნ ნება უფლისა და რუსეთის მფლობელისა.[5])

აი ამ ელჩებს, რომელთაც ასეთის ამბითა და ზეიმით შეხვდა შაჰაბაზი, მინდობილი ჰქონდათ საქართველოს სჩაქმეებზედ სიტყვის ჩამოგდება. რასაკვირველია წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისა და სპარსეთის ამგვარი მეგობრული დამოკიდებულობისა გამო საქართველოსთვის სასარგებლო არაფერი გაკეთდებოდა. ამიტომაც შაჰი ყოველივე ბრალდებას თავიდან იცილებს და დამნაშავედ თეიმურაზი გამოჰყავს. თეიმურაზსაო, ბრძანებს შაჰი, მე კი არ წავართვი, ძალით დედა და შვილებიო, პირიქით თითონ დამიტოვა მძევლად, ნიშნად იმისა, რომ ჩემს მტერს ოსმალეთს არ მიმხრობოდაო. მაგრამ თეიმურაზმა გასტეხა თავისი სიტყვა, დაპირება არ შეასრულა, ხონთქარს ეყმო და მე გადამიდგაო. შაჰაბაზმა ამასთანავე კუვშინნიკოვსა და კორობინს აჩვენა თეიმურაზის დედა და ვაჟიშვილები ალექსანდრე და ლევანი და სთხოვა მიეწერნათ თეიმურაზისათვის და დაეჯერებინათ, რომ სრულიად უშიშრად ჰხლებოდა, რომ ის რუსეთის მეფისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამო ჩააბარებს თეიმურაზს დედას და შვილებს და აგრეთვე დაუბრუნებს წართმეულს მიწა-წყალსა და სამფლობელოს[6]).

ელჩებმა უპასუხეს, რომ ჩვენ ამგვარის მონდობილობის გადაცემა თეიმურაზისათვის არ შეგვიძლიან, რადგანაც ეს ჩვენ რწმუნებულობას აღემატებაო და ამაზედ შესწყდა საქართველოს შესახებ ლაპარაკი.

შაჰაბაზის ცბიერობა და მლიქვნელობა აქ ყოველს საზღვარს გადადის, აშკარაა იმას უნდოდა ერთის ჯოხის მოქნევით ორის კურდღლის მოკვლა, რუსეთის მომადლიერებაც, რომლის პატივისცემის გამო თეიმურაზს სამფლობელოს და დედასა და შვილებს დაუბრუნებს და მეორეს მხრივ თეიმურაზის ხელში ჩაგდება.

ადვილად წარმოსადგენია რა გეენია დაატრიალდებოდა შაჰაბაზის გულში რუსეთის ელჩების მოთხოვნის გამო. შაჰაბაზმა საქართველო დაანგრია, გაატიალა, მიწასთან გაასწორა, მისი მცხოვრებნი აჰყარა და ირანის გზას გაუყენა, ეკლესია-მონასტერნი გააუპატიურა და დაანგრია, ყვავ-ყორანთა სათარეშოდ გახადა ტურფა ქვეყანა, მეფე თავგზადაბნეული უკვალოდ გადაიკარგა, მაგრამ დახე, ყველა ამას გაუჭრია, მის მიზანი არ განხორციელებულა, წყეული საქართველო კიდევ ცოცხალი ყოფილა, კიდევ სული მოუდგამს, არ დაუნებებია ძველებურად რუსეთისაკენ ხელის პოტინისათვის თავი და ისე გაკადნიერებულა, რომ დაბეზღებით მიუმართავს ჩრდილოეთის მფლობელისათვის. გაცოფებულის შაჰაბაზის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა და აკი ამიტომაც მყისვე ჯავრი იყარა, ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც ტყვედა ჰყავდა წამოყვანილი ციხეში მიაშავეს, დედა თეიმურაზისა ქეთევანი საჯაროდ კოცონზედ გახურებუ-

²) იხ. Плоды, Историческій обзор. дипл. сношенію.

³) იხ. Соловьевъ, Исторія Россіи т. II გვ. 1102.

⁴) 1619 ტომი II, გვ. 1186!

⁵) 1619 გვ. 1187.

⁶) იხ. Плоды, историч. обзор. дипл. сношенія.

ყუთი დაიდგა თ-დმა ანდრონიკაშვილმა. მიიღო 28 თეთრი და 14 შავი; ხმის უმეტესობას შეადგენენ რუსებისა და სომხების ხმა, რომელთ ყურადღება თავისი მოღვაწეობით ძლიერ დაიმსახურა თ-დმა ანდრონიკაშვილმა. გახარებულმა თავადმა (თუმცა გასახარისი რა ჰქონდა—23 ქართველისაგან 12—14-მა შავი მისცა) ამომრჩევლებს სიტყვით მიმართა და განუმარტა, რომ ისინი მისი ხელმეორედ არჩევით კვლავ ადასტურებენ მის ნაყოფიერ მოღვაწეობას და ამიტომ ეცდება კვლავაც იმ გზით იაროს, რა გზითაც აქამდე ემსახურებოდა მათ. ცოტა არ იყოს მისმა ასეთმა სიტყვამ ბევრს ქართველ ხმოსანთა შორის განცვიფრება გამოიწვია და დღესაც სალაპარაკოდ არის გამხდარი. ანდრონიკაშვილის საქციელმა, როგორც ქართველ მოღვაწისამ, დიდი უსიამოვნება დაბადა ქართველებში, თითქმის ორად გაჰყო საზოგადოება და იმედი გვქონდა, რომ ის მომავალში ქართველებისათვის უფრო სასარგებლო გზას დაადგებოდა, მაგრამ მისი სამადლობელი, აღტაცებული სიტყვა მოწამეა იმისი, რომ მოღვაწეობა მისი იქნება ცალმხრივ, ისეთივე უნაყოფო და მავნებელი ქართველებისათვის, როგორიც ამ ბოლო ხანებში იყო... და ამის მიზეზიც აქვს თ-დ ანდრონიკაშვილს. მის სიტყვებს ამომრჩევლები აღტაცებული ტაშით მიეგებნენ, სდუმდა მხოლოდ ერთი მისი ქომაგი, სასულიერო წოდების წარმომადგენელი.

ერთხანს საბჭო სდუმდა; ბევრს სინიდისი აწუხებდა, ზოგი სიტკბოებისაგან სთვლემდა, ზოგი დამარცხების გამო ბრაზობდა. აბა რა მისი ბრალია, რომ ქართველებში პოლიტიკური შეგნება ძლიერ სდგას?!. განა მათ ესმით, თუ რა არის დღეს ჩვენთვის საჭირო: ქალაქის თავი, თუ ხატისოვივით მამულისათვის და ერისათვის თავდადებული მოღვაწე? მოვა დრო... და ეს ჟამი უკვე მოახლოვებულია, როდესაც დაუკვირებელ მოქმედებისათვის ისტორიას ხმას გავსცემთ ერის წმინდათა წმინდას ღალატისათვის.

შემდეგ კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: ქალაქის თავის მოადგილედ კრინიცკი (38 თეთრი და 4 შავი), მდივნად—ივ. მესხი (24 თეთრი და 18 შავი).

ამით დამთავრდა კრება. დამარცხდა ოპოზიცია და გათეთრდა მოპირდაპირე... მაგრამ გათეთრდა კი?.. ჯერ კიდევ წინ არის მასა და ს. მდივანის შორის ატეხილი სადავო საგანი. **მე.**

---

ლის შამფურებით დასწვეს და აწამეს, ორივე ვაჟიშვილი კიდევ თეიმურაზის დაასაჭურისეს, რომელთაგანაც ერთი მოკვდა, ხოლო მეორე ჭკუაზე შესცდა. ასე იყარა ჯერ-ჯერობით შაჰაბაზმა ჯავრი მოუსვენარსა და დაუდეგარს საქართველოზე.

16 მარტს 1624 წელს მივიდნენ მოსკოვს მეფე თეიმურაზისაგან გაგზავნილი ახალი ელჩები ვინმე არქიმანდრიტი იერუსალიმის წმინდა მთის გოლგოთისა თეოდოსი და არქიმანდრიტი არსენი.

იმავე წელს თითქმის ქართველ ელჩებთან ერთად მივიდნენ მოსკოვში შაჰაბაზის ელჩები რუსან ბეგი ® ბულად ბეგი. სპარსეთის ელჩებმა მიართვეს რუსეთის პატრიარქს ფილარეტს, რომელიც მამა იყო რუსეთის თვითმპყრობელისა, ნიშნად ღრმად პატივისცემისა უდიდეს განძი ქრისტიანთათვის. ეს გახლდათ უძვირფასესი და უწმინდესი განძი საქართველოს ეკლესიისა კვართხი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც დაბეჩავებულს, წელში გაწყვეტილს და განაცარმტვერებულს საქართველოს წაჰგლიჯა სხვა სიძვირფასეთა შორის შაჰაბაზმა, როცა საქართველოს ეკლესიანი და მონასტერნი აანიავა და ცეცხლსა და ნავთს მისცა.

როგორცა ვხედავთ ცბიერი შაჰაბაზი ხან ფულით ეხმარება რუსეთს, ხან ძვირფასს საჩუქრებს უგზავნის, რომ ამითი თვალი აუხვიოს რუსეთს და საქართველოს აოხრების მიზეზათ თვითვე ქართველები გამოიყვანოს. ან კი რა შეეძლო მაშინდელს თვითვე უღონო რუსეთს, გარდა ზნეობრივის გავლენა-დახმარებისა, რომელსაც საუბედუროდ ვერა გრძნობდნენ ქართველები.

რუსეთის კარად მისული საქართველოს ელჩი აუწყებს რუსეთის მთავრობას საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობას, სამშობლო აწიოკებულია, ყველგან კვნესა-ტირილი გაისმის და შაჰაბაზის მტარვალობას საზღვარი არა აქვს. ლტოლვილი მეფე მთელს კავკასიას მოსდებია, მთელს ქვეყანას შესტირის გაჭირვება-კვნესას, მთა-კლდე ბანს აძლევს მის გლოვას, მაგრამ სამწუხაროდ არსით შველა არ არის საყვარელს სამშობლოს აღარავინ უბრუნებს. ოსმალეთის ხონთქარმა მისცა სამფლობელოდ და საცხოვრებლად სამი პროვინცია არტაანი, კარი და არდანუჩი, მაგრამ სხვათა ქვეყანაში ვერ გუობს გული უკვდება, რომ სამშობლო მიტოვებულია, მისი მიწა-წყალი სპარსთა სათარეშო მოედნად გამხდარა. თქვენ ერთად-ერთი იმედი ხართ იმისი და მთელის საქართველოსი, მოჰხედეთ ტანჯულს ქვეყანას და დახმარება გაუწიეთ ან ჯარის მიშველებით ან ფულით. ამავე შინაარსისა იყო თვით წერილიც თეიმურაზისა, რომელიც სრულიად ეთანხმებოდა ელჩის ნალაპარაკევს.

ქართველთ ელჩს მეფის მიხეილ თედორის ძის მინდობილობით კარის კაცმა გრამმატიკმა გადასცა სათანაადო საბუთები. თვით თეიმურაზმა უკეთ უნდა უწყოდესო, "დასძინა გრამმატმა, რამდენად სარწმუნოა შაჰაბაზის სიტყვა და თითონვე უნდა მიიღოს ზომები დედისა და შვილების დასაბრუნებლადო. რომ ქართველებს საქმე აღარ გაეჭირვებინათ თხოვნით, გრამმატიკმა გადაჭრით განუცხადა ქართველებს, ის რასაც თითონვე ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ რუსეთი და სპარსეთი სრულს კეთილ-განწყობილებაში არიან და ამიტომ ქართველებს ირანთან დავაში ვერაფერს ვუშველით ჯერჯერობითო და ვერც ფულით დავეხმარებითო, რადგანაც თითონაც რუსეთი ნივთიერად გაჭირვებულიაო, რადგანაც პოლონეთთან და ლიტვასთან ომის დროს დიდძალი ნივთიერი გაჭირვება გამოიარა რუსეთმა და აქნობამდის მრავალნი ქალაქნი და დაბანი აოხრებულნი არიან მტრისაგან და ვერ მოუთქვამთ სულიო. მაგრამ შეძლება მიეცემა თუ არა რუსეთს დახმარებას არ დაიშურებს და მოჰხედავს საქართველოსო.

ასე დასრულდა ეს პირველი მეცადინეობა თეიმურაზისა, რაზედაც იგი დიდს იმედებს ამყარებდა.

**ედილი.**

(შემდეგი იქნება)

# მგზავრის დღიურიდან

**ზ ე დ ა ზ ე ნ ი.**

„სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა“...
გრ. ორბელიანი.

კვირას, 19 ივლისს, გავემგზავრეთ ზედაზნის მონასტერში, რომელიც მდებარეობს 8—10 ვერსის მანძილზე ზემო ავჭალიდან, მტკვრის მარცხენა მხარეს—აღმოსავლეთით.

ამ მონასტრის შესახებ ვახუშტი შემდეგს მოგვითხრობს: „მთის თხემსა ზედა, მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და თბილისისა, აღაშენა ციხე მეფემან ფარნაჯომა (112—93 ქრ. დ. წ.) და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას **ზედა ზადენი.** შემდგომად იგ (13) მამათაგანმან მამამან იოანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკლესია სადგურად თვისად, და დაფლულ არს მუნვე (დიაკონით ილიათი) ამა ეკლესიის კამარიდამ სწვეთს წყალი და უდგს ქვემორ ავაზანი ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოვსებით მოაკლდების უკეთუ აღმოიღო რითმე, და ჰკურნებს სენთაცა“.

მოგეხსენებათ, რომ ქრისტიანობის განმტკიცება-გაძლიერებისათვის მეექვსე საუკუნეში ბევრი ილვაწეს და იშრომეს კაპადოკიიდან მოსულმა ცამეტმა წმინდა მამამ. მათ შორის უფროსი მამა იოანე დარჩა აქ თავის დიაკონით ილიათი, სხვები კი წარგზავნა სხვა და სხვა ალაგას—ქართლ-კახეთში.

მიუხედავათ იმისა, რომ მონასტრისაკენ მისავალი გზა სულ აღმართია, თქვენ მაინც დაღლილობას არა გრძნობთ, რადგან გზაში საამურ სურათებს სჭვრეტთ და ტყეტყე გიხდებათ სიარული.

ზედაზენს ადგილ-მდებარეობის სილამაზით ერთი საუკეთესო ალაგი უნდა ეჭიროს მთელ საქართველოში, რადგან მის გარშემო ირგვლივ ყველიფერი შესანიშნავია: ჩრდილო-დასავლეთით უმზერთ მშვენიერ ხეობას მტკვრისას, არაგვისა და ქსნისასა, რომელნიც გველივით მიიკლაკნებიან; მთელი მცხეთა, ჯვარის საყდარი, არმაზი, წმ. ნინოს ტაძარი, წიწამური,—ეს ამიერიდან ჩვენი სამარცხვინო გოლგოთი, ხელის გულივით მოსჩანან; სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსჩანს თბილისი, ავჭალა, დიღომი, გრდანი; ჩრდილო-აღმოსავლეთით საგურამო, ნატახტარი, კავკასიონის ქედი: მყინვარით, ცხრა-წყარო, ლელვარი და სხვა.

ეს მონასტერი მაღალ მთაზეა აგებული, გარშემო შემორტყმული ხშირი და მშვენიერი ტყით. აქვე ახლოს არის ძველი ციხის მხოლოდ ღა კედლები და ნანგრევები, რომელნიც ნაღვლიანად გამოიყურებიან და მოწამენი არიან ჩვენი ხანგრძლივ და მრავალ ტანჯულ ცხოვრებისა!

ზედაზენი მე-17 საუკ. მოაოხრა და გაანადგურა შაჰ-აბაზმა.

დღეს აქ 45 ბერი ცხოვრობს (მათ შორის ერთი მორჩილი); ყველაზე უფროსი და ხნიერი მამა იონაა, რომელიც ღრმად მოხუცებულია, თითქმის 100 წლამდე იქნება მიღწეული, კაცი ბევრის მომსწრე და მნახველია; მის სიბერის და დაუძლურების გამო წინამძღვრად მამა იონაა ეხლა. მამა იონამ ბევრი რამე გვიამბო პავლე ეგზარხოსის დროიდგან; რაც იგი აქ დაბინავებულა, 25—26 წელიწადი იქნება; წინად კი ანტონ მარტყოფელის მონასტერში ყოფილა, სადაც დაუყვია 40 წ. მეტი. მას იქ ძალიან დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის თურმე მონასტრის აშენება-გამშვენიერებაში, მაგრამ მტრობა სად არ არის და იგი რას არ იზამს?!—ვიღაც მღვდელ-მონაზონი ანგარებების გამო გადაჰკიდებია მამა იონას და ესეც გადმოეყვანათ იქიდან, დღესაც გულ-კვნესით და წყევლა-კრულვით იხსენიებს იმ დროს... მოიგონა აგრეთვე დიმიტრი ყიფიანი,

ზედაზნის მონასტერს ოთხჯერ დასცემიან მოძრაობის და არეულობის დროს და გაუცარცვავთ კიდეგაც.

დღესაც არის აქ დარჩენილი ის წმ. ჭა, რომელზედაც ამბობენ, ვითომ იგი წელიწადში ერთხელ ივსება წყლით მონასტრის დღეობასო, 7 მაისს.

მგონი მეტი არ უნდა იყოს, თუ გავიცნობთ ჩვენი ეკლესია როგორ ამკობს წმ. იოანე ზედაზნელს: „ზედაზენისა მთისა სინა მყოფელი ზედა-ზენს კიბედ ზენად ზეცისად იდგამს“. „დედა-ქალაქი ქართველთა წმინდა იქმნა სწავლითა შენითა, წმიდაო მამაო იოანე, მამათა თავალო, აღიწიე მთად ზედაძნელისა, რომელიცა სთნდა სულსა შენსა, არქვ მოწაფეთა შენთა: წარვედით და განამტკიცებდით ქრისტეს სამწყსოთა, რამეთუ ახალ ნერგ არს ქვეყანა ესე ქართლისა.

ისე საამური და მომხიბლავია აქ ყოფნა, რომ ადამიანს ერთი დღით აქ არ მოესვლება, რადგან როცა ემშვიდობები აქაურობას, არ გეთმობა და ნანობ წასვლას, რადგან ასეთს იშვიათსა და საოცნებო ალაგს ვინ იცის როდის-ღა ნახავ...

**ერმალოზ კახი.**

# დ ე პ ე შ ე ბ ი

**ლონდონი,** 20 აგვ. ლლოიდის ცნობებით გემი „სავონა“ დაიღუპა. ეკიპაჟს დააკლდა სამი კაცი.

**ნიუ-იორკი,** 20 აგვ. გერმანიის ელჩის ნოტას „არაბიკის“ შესახებ პრესა დიდის თანაგრძნობით შეხვდა, როგორც ვილსონის პოლიტიკის გამარჯვებას.

**კოპენჰაგენი,** 20 აგვ. ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ გემი „გულგელმა“ ბურგენიდან გამოსვლისას ნაღმს წააწყდა და დაიღუპა.

**ისპაჰანი,** 20 აგვ. დილით, ცხენით გასეირნების დროს ინგლისის ელჩი მარცხენა ხელში და ფერდში დასჭრეს. მცველი მოკლულია. მკვლელი ქუჩიდან იყო და მიიმალა.

**ბუქარესტი,** 19 აგვ. ვენიდან იტყობინებიან, რომ ისპანიის ელჩი ავსტრიის მთავრობასა სთხოვს სიკვდილით დასჯა ეპატიოთ მარკოვს და იანჩეცკის. მეფეს ჰსურს ჟურნალისტ იანჩეცკის ბედი იცოდესო.

# წერილი რედაქციის მიმართ

**ბატონო რედაქტორო!**

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ვამცნო საზოგადოებას, რომ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს ერთ-ერთი მორიგ საქმეთაგან **პრაქტიკულად განხორციელება** იმ ფრიად საყურადღებო აზრისა, რომელიც გამოსთქვა ამას წინად „საქართველოში“ ბ-მა მიხ. მურვანიშვილმა, სახელდობრ; ქართველ მოღვაწეთათვის აგარაკის აშენება ს. წავერში.

ამ სტრიქონების დამწერი უკვე პირადად მოელაპარაკა ს. წავერში საქმის ინიციატორს ბ. მურვანიშვილს, რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგა საქმის მოსაგვარებლად და საბჭოც უახლოვეს მომავალში შესაფერს ზომებს მიიღებს, რომ საქმე სასურველად დაბოლოვდეს.

ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც-კი შეუძლიან რითიმე დაეხმაროს ამ კეთილს საქმეს, თავისი სურვილი საბჭოს აცნობოს *), გაგვაგებინოს: რითი, რა სახით შეუძლიან დახმარება. ხოლო თუ ვინმე მოისურვებს საქმის ნივთიერად შეწევნას, მან თავისი წვლილი უნდა გადასცეს საზოგადოების ხაზინადარს ბ. ივანე სპირიდონის ძეს ელიაშვილს (თბილისი, საპიორნაია ქ., № 11). ყველა ამ გზით მიღებული ფული ცალკე შეინახება და შეადგენს **ფონდს მარტოოდენ ზემო დასახელებულ საქმისათვის.**

ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე

**გ. ჟორდანია.**

*) მისამართი: თბილისი, სუდებნაია ქ. 26, ბინა ჟორდანიასი. საზოგადოების კანცელარია ღია იქნება **1 სექტემბრიდან** ყოველ დღე. გარდა კვირა უქმისა, ნაშუადღევის 12—2 საათამდე.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

ს. გურჯაანში გზად მომავალმა

**დ ა ვ კ ა რ გ ე**

**შ ა ვ ი პ ო რ ტ ფ ე ლ ი,**

რომელზედაც ვერცხლის ფირფიტაზე წარწერილია ჩემი სახელი. პორტფელში კი შემდეგი ნაწერები აწყვია: პიესა „გიჟუნია“, მოთხრობა „ტყვე“, მერეჟკოვსკის „ლეონარდო და-ვინჩი“-ს თარგმანი (პირველი წიგნის), ისტორიულ რომანის „ანდერძი“-ს მასალები და სხვ. წვრილმანი წერილები და საარტისტო მოწმობები.

არავისათვის [illegible] და ნაშრომში გამო[illegible] ჩემთვის კი ძვირფასია.

ამიტომ ვთხოვ **კახეთის სამამასახლისოებს** ყურადღება იქონიონ და ხალხს გამოუცხადონ, რომ მპოვნელი ჩემგან მადლობასთან ერთად შესაფერ ჯილდოსაც მიიღებს.

ნახული უნდა წარუდგინონ ს. ბაკურციხეში ექიმ ანდრონიკაშვილს.

**შალვა დადიანი.**

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| იერიდან . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 80 „ | „ |
| იერიდან . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში . . | 5 „ | 28 „ | „ |

**[illegible]-გურჯაანისამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან. . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან. . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან . . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . . | 7 ს. | 25 წ. | დღ. |
| საგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—32)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ, მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან